

მთაბე

წელიწადი
პირველი

ზაზათი, დეკემბ. 3.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 22

ეოველ კვირული ორგანო.

№ 22

რედაქციის მისამართი:

რედაქცია დასა: ეოველ დღე დიდის 9 ს. — 2 სართამდე.

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელფის ქ. № 1.

რედაქტორის ნახვა შეიძლება 12 ს. — 2 სართამდე.

(ეოფ — კადეტთა კლბუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 80

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა კერძო გამომცემლობის შესახებ.

6. ეოველ გამომცემლობას ნება ეძლევა გაავრცელოს წიგნები თავისუფალი ვაჭრობის საშუალებებით, როგორც საკუთარ საწყობებში, ისე კერძო წიგნის მაღაზიებში, თანახმად ამა დეკრეტის მც. 4ე მუხლისა.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

1. ნება დაერთოს საზოგადო ორგანიზაციათ, საგამომცემლო მხანაგობათ და არტელებს აწარმოონ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წიგნებისა და ბეჭდვითი ნაწარმოებთა კერძო გამომცემლობა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუცი. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახ. კომისარი დ. კანდელაკი.

რევოლიუცი. კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული ორგანიზაციები კერძო გამომცემლობის წარმოებისათვის ნებაართვას მიიღებენ განათლების სახალხო კომისარიატისაგან, რომელიც ეოველ ცალკე შემთხვევაში ამტკიცებს ამა ორგანიზაციების წესდებას.

1921 წ. ნოემბრის 25.

ტფილისი — სასახლე.

3. კერძო გამომცემლობის წარმოებას კონტროლს გაუწიეს განათლების სახალხო კომისარიატი, რომელიც ამისათვის განსაკუთრებულ წესებს შეიმუშავებს.

დეკრეტი № 81.

4. განათლების სახალხო კომისარიატი ვალდებულია შეიმუშაოს სათანადო დებულება კერძო გამომცემლობისა და სახელმწიფო გამომცემლობის ურთი-ერთი დამოკიდებულების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა საქართველოს მთავრობის ორგანოთა და საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და საზოგადო დაწესებულებათა ურთიერთობრივი მიმართვის წესის შესახებ.

5. ეოველ კერძო გამომცემლობას ნება ეძლევა, — განათლების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, შეიძინოს გამომცემლობის საჭიროებისათვის ქალაქი, სტამბის მანქანები, შრიფტი და სხვა მასალა, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარ-გარედ.

თათა დამყარებულ იქნეს ერთის მხრით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ორგანოთა და მეორეს მხრით საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა და სა-

ზოგადო დაწესებულებათა შორის ურთიერთობრივი მიმართვის წესრიგი, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი აღგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მყოფ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის ყოველნაირი მიმართვა რესპუბლიკის მთავრობის ორგანოებისადმი უნდა სწარმოებდეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით; აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობის ორგანოები მიმართვენ საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

2. ყოველ ოფიციალურ დოკუმენტს და აქტს, რომელიც გამოვალს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მყოფ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან და რომელიც უნდა გადაეცეს რესპუბლიკის ორგანოებსა ძალა ექნება იმ შემთხვევაში, უკეთეს აღნიშნულ დოკუმენტს და აქტს დართული აქვს ვიზა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის, რომელიც ამოწმებს იმ უცხო საძიებელს წარმომადგენლის ხელმოწერის სინამდვილეს, ვისგანაც დოკუმენტი ან აქტი გამოშვებულს და, აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში ამოწმებს ასეთი დოკუმენტის შინაარსს არსებითად.

3. ყოველ ოფიციალურ დოკუმენტს და აქტს, რომელიც გამოვალს უცხო სახელმწიფოს მთავრობისა და საქართველოს საზღვრების გარეშე მყოფ საზოგადოებრივ ორგანოთაგან და რომელიც უნდა გადაეცეს რესპუბლიკის ორგანოებსა, ძალა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ამ დოკუმენტს და აქტს დართული აქვს ვიზა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო წარმომადგენლისა უცხოეთში, რომელიც ამოწმებს იმ პირის ხელმოწერის სინამდვილეს, ვისგანაც გამოშვებულს ეს დოკუმენტი და აქტი და აგრეთვე ხსენებულ პირის საამისო უფლებამოსილობას.

4. გარეშე საქმეთა კომისარიატს უფლება ეძლევა ცალკე შემთხვევისათვის სათანადო უწყებასთან შეთანხმებით, მოახდინოს გამონაკლისი ამაღეკრებისაგან.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რეს. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი

ა. სვანიძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი

აღ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.

თბილისი — სასახლე.

დადგენილება № 101

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა შოთა რუსთაველის თეატრის შესახებ

საქართველოს დიდებული მგონის შოთა რუსთაველის ხსოვნის აღსანიშნავად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი აღგენს:

1. სახელმწიფო დრამის თეატრს (ყოფილი არტიკული საზოგადოების თეატრი) ეწოდოს „**შოთა რუსთაველის თეატრი**“.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე. 1921 წ. ნოემბრის 25 ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 102

საქართველოს სოციალ. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

სანავთსადგურთა მილიციის დაარსების შესახებ.

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დასაცავად სანავთსადგურო მილიცია.

2. სანავთსადგურო მილიციის მოწყობა დაევალოს მთავარი მილიციის უფროსს, საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

3. სანავთსადგურო მილიციის და მისი შტატის შესანახად საჭირო ხარჯების გაღება დაიფაროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოსა და მთავარი მილიციის უფროსების წარდგენის თანახმად.

4. სანავთსადგურო მილიციის მოწყობა განხორციელდეს იქნეს ერთი კვირის განმავლობაში.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევ. კომიტეტის მდივანი აღ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 25.

ქ. ტფილისი. — სასახლე.

დადგენილება № 103

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. რევოლუცი. კომიტეტისა.

დებულება ფასების დამწესებელი კომიტეტის შესახებ.

1. ფასების დამწესებელი კომიტეტი არის ფასთა დამწესებულებასათვის უმაღლესი საუწყებო-შორისო ორგანო.

2. ფასების დამწესებელი კომიტეტი არსებობს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და მოიხმარს მის აპარატებს; კომიტეტი შედგება: ფინანსთა კომისარიატისა (თავჯდომარის თანამდებობისათვის), სახალხო მიწურნობის უმაღლესი საბჭოსი, სასურსათო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში და ცენტრალური კავშირის ოითო წარმომადგენელთაგან.

3. ფასების დამწესებელი კომიტეტს დაევალება:

ა) დაწესება საბითუმო და სავაჭრო ფასების ყოველ საქონელზე, რომელსაც გადასცემენ სახელმწიფო დაწესებულებანი და წარმოებანი ერთმანეთს, კოოპერაციას და მკობრებლები;

ბ) განსაზღვრა სამონოპოლიო საქონლის ფასების წარმატების რაოდენობის კოოპერაციის სასარგებლოდ პროდუქტების განაწილებით გამოწვეული ხარჯის სანაზღაურებლად;

გ) დაწესება შესასყიდი მტკიცე ფასებისა სახელმწიფოსათვის დასამზადებელ პროდუქტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მტკიცე ფასები გათვალისწინებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტით.

4. ფასების დამწესებელი კომიტეტის მიერ შემოღებული ფასები ძალაში შედის იმ ვადაზე, რომელსაც განსაზღვრას კომიტეტი.

5. კომიტეტი ვაოდებულია პერიოდულად განიხილოს ხოლომე ფასები და შეიძლოს, როგორც ყოველ საქონლისათვის თანაბარი ცვლილება, გამოწვეული შესასყიდი ერთეულის ცვლილებით, ისე ცვლილება ცალკე საქონლის ფასისათვის რაც გამოწვეული იქნება წარმოებისა და ბაზრის პირობათა ცვლილებადობით.

6. ფასების დამწესებელი კომიტეტის დადგენილება შეიძლება განსაზღვრებულ იქნეს სათანადო კომისარიატისა და ცენტრალურ კავშირის მიერ უმაღლესი ეკონომიურ საბჭოში.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის

თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 26.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 104

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

საზღვაო ტრანსპორტისა და ნავთსადგურების მოქმედებათ დაინტერესებულ მოწყობათა შორის ურთიერთი დამოკიდებულების მოწესრიგების შესახებ.

საზღვაო ტრანსპორტის და ნავთსადგურების მოქმედების დაინტერესებულ მოწყობათა შორის ურთიერთ დამოკიდებულებას მოსაწესრიგებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კომიტეტი ადგენს:

1. ნავთსადგურის რეკონსტრუქცია და ნავთსადგურის წყობი—ყოველი ანაგებით, რაც პათ ფარგლებშია, არის საზღვაო ტრანსპორტის მმართველობის სამეურნეო და ადმინისტრაციული გამგებლობაში, ხოლო ადგილობრივად სავაჭრო ნავთსადგურის უფროსის გამგებლობაში.

2. აკრძალულია ყოველგვარი ჩარევა რომელი უწყებისაც უნდა იყოს, საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ-სამეურნეო მოქმედებაში.

3. მიცემა საწყობისა, სადგომისა, ნაპირზე მიცურვის სარგებლობის უფლებისა და სხვა სწარმოებს საზღვაო ტრანსპორტის უფროსის განკარგულებით უწყობათა განცხადებისამებრ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბიროში.

4. საზღვაო ტრანსპორტის მმართველობასთან საზღვაო ტრანსპორტის უფროსის თავმჯდომარეობით, არსდება საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბირო შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან: საზღვაო ტრანსპორტისა, საგარეო ვაჭრობისა, სახალხო კომისარიატისა, რუსტიკის სახალხო კომისარიატისა, უმაღლესი სახალხო სამეურნეო საბჭოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და წყალთა ტრანსპორტის მუშათა კავშირისა.

5. სავაჭრო ნავთსადგურთა უფროსებთან, მათი თავმჯდომარეობით, მოეწყობა ნავთსადგურის საქმეთა სათათბირო იმავე უწყებათა წარმომადგენელთან და, ამის გარდა ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტის წარმომადგენლისაგან.

6. უფლება და კომპეტენცია საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა და ნავთსადგურის სადგურის სათათბიროებისა განსაზღვრება დებულებათ, რომლის სათანადო ვადაზე შემუშავება დაევალება საზღვაო ტრანსპორტის მმართველობას.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებიდან.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ზ. მდივანი.

რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ნოემბრის 18.

ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 105.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა—წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტის მხარეების შესახებ.

რათა წესიერად დაყენებულ იქნეს წითელ-არმიელთა დამხმარების საქმე და საუკეთესოდ გაეწიოს მზრუნველობა მათ ინტერესებს,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. —მოეწყოს წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტი.

2. წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტს დაევალება: ა) მეთვალყურეობა და კონტროლი საბჭოთა ორგანოების მოქმედებისათვის, რომელნიც მზრუნველობას უწევენ ნამდვილ სამსახურის და სადემობილიზაცია წითელ არმიელებს; ბ) უშუალო მეთვალყურეობა წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრებისათვის იმ დაწესებულებაში, რომელიც მათთვის მზრუნველობას ეწევა და ყოველმხრივად ხელისშეწყობა იმ ადგილობრივ ორგანოთათვის, რომელთა მიერ მომარაგებულ უნდა იქნეს მათთვის ყოველგვარი კმაყოფა და უზრუნველყოფილი—კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის საჭიროებანი; გ) მოწყობა შემოწირულობათა მოგროვებისა ნივთებით, სურსათ სანოვაგის, ფულის ნიშნებით და სხვ; დ) მოწყობა საჩვენებელი ყაზარმებისა, სახელოსნოებისა, სანატორიუმებისა, საკვები პუნქტებისა, საინვალიდო სახლებისა და სხვ; ე) ინტერესის აღძვრა გარშემო მცხოვრებთა შორის წითელ არმიელთა საჭიროების მიმართ და მათი საქმეში ჩაბმა ჯანსაღ, ავადმყოფ და ინვალიდ წითელ არმიელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად უშუალო დამხმარების აღმოჩენისათვის.

3. წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და მის მოადგილისაგან, რომელთაც დანიშნავს, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი, და შემდეგ სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთაგან: სამხედრო და საზღვაოსი, ჯანმრთელობისა, სასურსათო, სოციალურ უზრუნველყოფისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა, აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა

და საქართველოს პროტესიონალურ კავშირთა საბჭოს თითო წარმომადგენლისა და საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის ორი წარმომადგენლისაგან.

4. კომიტეტს უფლება ეძლევა შეაგოს თავის წარმომადგენლობა სხვა სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებით.

5. კომიტეტის წევრებსა და იმ პირებს, ვინც რწმუნებულ იქნება კომიტეტისაგან, უფლება ეძლევათ დაუბრკოლებრივ ინახულონ ყოველი სასანიტარო დაწესებულება, რომელიც მზრუნველობას უწევს ავადმყოფ და დაჭრილ წითელ-არმიელებს, და აგრეთვე ყაზარმები და საინვალიდო სახლები. ყოველი შენიშვნა კომიტეტის წევრებისა და აღნიშნულ რწმუნებულების მიმხედულ დაუდგრობისა და უწესრიგობის შესახებ, მხედველობაში იწინდება მიღებული ქვემდებარე პირისა და დაწესებულების მიერ.

6. კომიტეტს თავისი მიზნის მისაღწევად უფლება ეძლევა გახსნას ადგილობრივი განყოფილებანი და, სათანადო უწყებებთან ერთად, მოაწყოს საწყობები. დუქნები და სხვ. დაწესებულება, რომელსაც საჭიროდ დაინახავს.

7. კომიტეტი აწარმოებს საჭირო ნივთებისა და მასალების დამზადებას, როგორც საკუთარი მზრუნველობით, შეიყიდვის საშუალებით, გაკეთებით და სხვ., ისე მომარაგების ორგანოების მეშვეობით, მათთანვე შეთანხმებით.

8. კომიტეტი იმყოფება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტთან.

9. აღრიცხვის და ანგარიშის შედგენის და დამტკიცების წესს შეიმუშავებს თვით კომიტეტი, ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

10. კომიტეტის სახსარს შეადგენს: ა) ის თანხები, რომელსაც გადასდებს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი და ბ) ის თანხები, რომელსაც კომიტეტი მიიღებს ლექციებისა, კონცერტებისა და სხვა შემოსავლისაგან.

11. კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სრულიად რუსეთის წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტთან და თავის მუშაობას საფუძვლად დაუდებს უკანასკნელის ინსტრუქციებსა და წესდებებს.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუცი. კომიტეტის თავმჯდომარე ზ. მდივანი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 106

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუცი. კომიტეტისა რევოლუცი. ტრიბუნალების მოქმედების გაერთიანების შესახებ.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა რევოლუციონურ ტრიბუნალების მოქმედების გაერთიანების მიზნით, საქართველოს სოც. საბჭოთა თესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონური სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, თავისი თანამდებობისამებრ, შედის საქართველოს უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის შედგენილობაში ამ ტრიბუნალის კოლეგიის წევრად.

2. საქართველოს უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის კოლეგიის ერთ-ერთი წევრის ამ ტრიბუნალის თავმჯდომარის დანიშვნით, შედის კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალის შედგენილობაში ამ უკანასკნელი ტრიბუნალის კოლეგიის წევრად.

3. ბათუმის გამაგრებულ რაიონის რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალის წარმომადგენელი თავმჯდომარის დანიშვნით, შედის ქუთაისში და ბათუმში არსებულ საქართველოს რევოლუციონურ ტრიბუნალის შედგენილობაში უკანასკნელ ტრიბუნალების კოლეგიათა წევრათ, ხოლო ქუთაისში და ბათუმში არსებულ საქართველოს რევოლუციონურ ტრიბუნალის წარმომადგენლები ბათუმის გამაგრებული რაიონის რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალის შედგენილობაში, ამ უკანასკნელი ტრიბუნალის კოლეგიის წევრებად.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნული პირნი მონაწილეობენ სათანადო ტრიბუნალების სასამართლო სხდომებში, როცა მათ დაიშინავენ ამ ტრიბუნალების თავმჯდომარენი, რის შესახებ მათ თავის დროზე უხდა ეცნობოს.

5. საქართველოს უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე უნდა შეუთანხმდეს კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციონურ სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის და ამა დადგენილების აღსასრულებლად გასცეს სათანადო განკარგულება.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუცი. კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ს. ქავთარაძე.**

რევოლუცი. კომიტეტის მდივანი **ა. სალარიძე.**
1921 წ. ნოემბრის 26.
ტფილისი—სასახლე.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის მიერ დასჯა გასწორების დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის დაცვილინარული სასჯელის დაწესების შესახებ.

განსაკუთრებულ პირობათა გამო, რომელშიაც მოქმედობენ დასჯა-გასწორების დაწესებულებანი, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი,—რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთათვის დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ სასჯელის დაწესების შესახებ ამა წლის ივლისის 14-ს თარიღითა და 55 №-ით გამოცემული დეკრეტის დამატებად, —ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის 55-ს № რის დეკრეტის მე-5 მუხლში აღნიშნულ სასჯელთა მაგიერ, დასჯა-გასწორების განყოფილების მოსამსახურეებს დაედება შემდეგი დისციპლინარული სასჯელი:

ა) საყვედური ბრძანებაში განცხადებით და გაზეთებში გამოქვეყნებით, ან უამისოდ;

ბ) რიგს გარეშე მ. რიგეობაზე დანიშვნა, ხოლო არა უმეტეს 7 მორიგეობისა, (ეს სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც სადარაჯო სამსახურს ეწევიან);

გ) დატუსაღება 4 დღემდე;

დ) დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა;

ე) თანამდებობიდან გადაყენება.

შენიშვნა: თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მოსამსახურის საძრახი ნამოქმედარის ან დამაშაულის გამოძიების დროს განმავლობაში.

2. შემოადინებულ სასჯელის დადების უფლება აქვს:

ა) დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილების და მის ადგილობრივ განყოფილების მოსამსახურეებისთვის—ამ განყოფილებათა გამგეებისა, გარდა განყოფილების გამგის თანაშემწისა, აგრეთვე ადგილობრივ განყოფილებათა გამგეებისა და პოლიტიკურ კომისრებისა, რომელთაც 1 მუხლის „გ“, „დ“, და „ე“ პუნქტში აღნიშნული სასჯელი დაედებათ იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ, დასჯა გასწორების ცენტრალური განყოფილების გაშკის წარდგენით;

ბ) დასჯა გასწორების განყოფილების ქუთაისის და ბათუმის განყოფილებათა მოსამსახურეთათვის ამა განყოფილებათა გამგეებს, განყოფილებათა პოლიტიკურ კომისართან შეთანხმებით.

გ) დასამწყვდევ ადგილთა გამგეებისა, პოლიტიკურ კომისრებისა კოლეგიათა წევრებს და საპატიმროების გამგეთა თანაშემწეებისათვის—დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილების გამგეს; ადგილობრივ განყოფილებათა გამგეებს კი უფლება ეძლევათ, განყოფილებათა პოლიტიკურ კომისართან შეთანხმებით, 1 მუხლის „ა“, „ბ“

და „გ“ პუნქტებში აღნიშნული სასჯელი დაადოს შემოღნიშნულ ყველა პირს, გარდა გამგისა, პოლიტიკურ კომისრისა, აგრეთვე ქუთაისის და ბათუმის გამასწორებელ სახლების კოლეგიის წევრებისა რომელთა წინააღმდეგ ხსენებულ გამგეთ შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ 1 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული სასჯელი:

დ) დასაწყვედვი ადგილების ყველა სხვა მოსამსახურეებისთვის ამ დაწესებულებათა კოლეგიებს, დასამწყვედვ ადგილების გამგეებს კი უფლება ეძლევათ თავი პირთ განუჩინონ — პოლიტიკურ კომისართან შეთანხმებით 1 მუხ. „ა“ და „გ“ პუნქტში აღნიშნული სასჯელი და დაატუსაღონ ისინი 7 დღემდე.

3. ამა დადგენილებისამებრ დადებული დისციპლინარული სასჯელი სათანადო დაწესებულების მიერ უნდა შეიხილ იქნეს განსაკუთრებულ დაფთარში და აღინიშნოს მოსამსახურის პირად საქმეში.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რეფ. კომ.
თავმჯდ. ბ. მდივანი.
იუსტიციის სახალხო კომისარი
ს. ქავთარაძე.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ა. სალარიძე.

1921 წ., ნოემბრის 26.
ქ. ტფილისი. — სასახლე.

შინაგან საქმ. სახალხო კომისარიატი.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრის რევეკომს.

არა ერთხელ იყო გამოცემული განკარგულება, რომ ადგილობრივი რევეკომები არ ერეოდენ სასურსათო კომიტეტებს საქმეებში და ცენტრის დაუკითხავად და იქიდან სათანადო ნებართვის მიუღებლად, არ გადაედგათ ამ დარგში რაიმე ნაბიჯი.

ამის მიუხედავად, როგორც გვატყობინებს სახალხო სასურსათო კომისარიატის გამანაწილებელი სამმართველოს უფროსი ა.წ. 16 ნოემბრიდან № 5528, ადგილობრივი რევეკომების მიერ არჩეული კომისია, რომელსაც დევალა სასურსათო კომიტეტის საწყობის აღწერა, ზოგიერთი საქონლის სხვა დაწესებულებათათვის გადაცემას აპირებს.

კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ვაფრთხილებ ადგილობრივ რევეკომებს, ცენტრის, სათანადო ორგანოდან ნებართვის მიუღებლად არამც და არამც არ ჩაერიონ სასურსათო კომიტეტების საქმეებში, თუ რაიმე ბოროტ მოქმედებას არ ექნება ადგილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.
საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილება
ლების გამგის მოად. შ. დადიანი.

უველა სამაზრო რევეკომს და მილიციის უფროსს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ხშირად შემოდის საჩივარი და ცნობა, როგორც კერძო, ისე თანამდებობის პირებიდან და დაწესებულებათაგან, რომ რომელიმე მაზრის, ან მისი ხელქვეითი რაიონის, თუ თემის რევეკომი უკანონოდ ატარებს შრომის ბეგარას, ან და მაშინ როცა იგი საქიროა გატარებულ იქნეს, არავითარი ზომას არ ღებულობს და არც რევეკომი, არც მილიცია შრომის ბეგარის გამტარებელ ორგანოს, თუ დაწესებულებას არ ენებება.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა საყურადღებოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შეამდგეს აცხადებს:

შრომის ბეგარის შესახებ არსებობს უმაღლესი მთავრობის მიერ გამოცემული რამდენიმე ბრძანება და დეკრეტი:

პირველი — დეკრეტი № 69 ა.წ. 5 სექტემბრის გამოქვეყნდა და ეხება „შანა გზით ტვირთშიდვის შრომის ბეგარის შექმნებას“ (იხ. შ. ს. ს. კ. „მოამბე“ № 17). ამ დეკრეტის §§ 5, 6 და 11 ძალით ბეგარის ცხოვრებაში გატარება და ნებართვა ეკუთვნის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა არავის, მაშასადამე, ვისაც სურს ან რომელი ორგანოსათვის საქიროა ტვირთშიდვის ბეგარით შესრულება მან უნდა მიმართოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

მეორე — არის დადგენილება მთავრობის ამა წლის 14 სექტემბრიდან № 70, რომელიც ეხება „გზათა შესაკეთებლად მუშაობის წარმოებისათვის შრომის ბეგარის შექმნებას“ (იხ. შ. ს. ს. კ. „მოამბე“ № 16). ამ დადგენილებაში განმარტებულითვის, როდის და როგორ შეუძლია შრომის ბეგარით სარკებლობა და, მისი ცხოვრებაში გატარება თანახმად დადგენილება № 70 §§ 2 და 3, ევალებათ შრომის სახალხო კომისარიატს და სხვა არავის. მაშასადამე ამ შემთხვევაშიც ვისაც სურს ან რომელი ორგანოსათვის საქიროა გზათა შესაკეთებლად ბეგარა უნდა მიმართოს ნებართვის მისაღებათ შრომის სახალხო კომისარიატს.

მესამე — ცირკულიარი № 27 შრომის სახალხო კომისარიატის (იხ. შ. ს. ს. კომისარიატის „მოამბე“ № 19), რომელიც აგებულია მთავრობის დადგენილება № 70 §§ 2 და 3 ამ ცირკულიარის და იმ განმარტების თანახმად რომელიც გამოსცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (იხ. „მოამბე“ № 19) გზების შესაკეთებლად შრო-

მის ბეგრის მოშველიების ნებართვა, უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატისა, რომელსაც უნდა წარედგინოს დასაბუთებული მოხსენება მუშა ხელის ნაწილობრივი მობილიზაციის საჭიროების შესახებ.

აქედან ამკარა უნდა იყვეს ყველასათვის, რომ გარდა ტვირთზიდვის ბევარი სათვის მოლიზაციის ნებართვისა, რომელსაც მხოლოდ სახალხო მუშურნეობას უმაღლესი საბჭო აძლევს ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიმართონ ყოველ ცალკე შემთხვევაში შრომის სახალხო კომისარიატს, თავახმად ცირკულიარი № 27.

ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სასტიკათ უკრძალავს რა ყველას ამ დარგში თვითნება მოქმედებას და შრომის ბეგრის უიებართვოთ გატარებას, რომლის დარღვევისათვის დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან, არ განიხილავს და ნებართვას არც მისცემს არავის გარეშე შრომის და სახალხო მუშურნეობის უმაღლესი საბჭოს კომისარიატის ნებართვისა.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ბ. კვიციანი.
საინსტრუქტორ-საინფორმაციო განყოფილების გამგის მოადგ. შ. დადიანი.

ტფილისი, — 1 დეკემბერი, 1921 წ.

ბრძანება

ქალაქ ტფილისის რევოლუციონურ კომიტეტისა.

საცხოვრებელ ბინების ქირისა და უძრავ ქონებათა მუნიციპალიზაციის შესახებ ქ ტფილისისში.

სახლების მუშურნეობის გამოსწორების მიზნით, მათი შესაკეთებელ და გასამშვენებელ ხარჯების და აგოეთვე ვაჭობაზე სწორ მეთვალ-ყურეობის გასაწევად და საერთო საიჯარო ქირის მოსაწესრიგებლად ტფილისის ქალაქის რევკომმა დაადგინა:

I. § 1. მუნიციპალიზაცია უყოს:

- ა) პროფესიონალურ და საბჭოთა დაწესებულებათათვის აღებულ სახლებს.
- ბ) სასტუპოოებს, დასაბინავებელ ეზოებს, ბაზრებს, აბანოებს, თეატრებს და კინომატოგრაფებს.
- გ) სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა და საწყობთა შენობებს.

შენიშვნა: სია იმ სახლების, რომელთაც ეხებათ მუნიციპალიზაცია ცალკე იქნება გამოცხადებული.

§ 2. ის სახლები, რომელთაც არ ეხებათ მუნიციპალიზაცია, გადადიან მთლიანად მფლობელთა განკარგულებაში.

§ 3. მუნიციპალიზაციით აღებულ სახლების სიის გამოცხადებიდან შვიდი დღის განმავლობაში მესაკუთრენი მუნიციპალიზაციიდან თავისუფალი სახლებისა ვალდებულნი არიან დაუბრუნდნენ თავიანთ მფლობელობას, აღნიშნულ ვადის შემდეგ მოხდება უპატრონოდ დარჩენილ ქონების მუნიციპალიზაცია და გადაეცემა იგი იჯარით მობინადრეთა კოლექტივს ანუ კერძო პირთ.

§ 4. ქ. ტფილისის გაეშე მყოფ მესაკუთრეთ მფლობელობაში დასაბრუნებლად ეძლევათ ერთი თვის ვადა ნაცვლად მე-3 §-ში აღნიშნულ შვიდი დღის ვადისა.

II. § 5. ყველა მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები გადადიან ტფილისის ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილების განკარგულებაში.

§ 6. მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების გამგებლობის წესებს და ქირის რაოდენობას აკანონებს ტფილისის ქალაქის რევკომი.

§ 7. მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებში ბინები მიეცემათ განსაკუთრებით მუშებს და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეებს.

§ 8. მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების ბინებიდან გამოსახლება ამიერიდან შეწყვეტილია. პროფკავშირების სახლებიდან გამოსახლება დასაშვებია მხოლოდ იმ პირთა, რომლებიც არ ირიცხებიან წევრად რომელიმე პროფკავშირში.

შენიშვნა: სახლების სამეურნეო გამგებლობის განყოფილებას უფლება რჩება გამოსახლებისა საიჯარო გადასახადის მიუცემლობისათვის.

III. § 9. კერძო სახლების მესაკუთრეთ ეძლევათ უფლება მფლობელობისა, განკარგულებისა და აგრეთვე გაყიდვისა.

§ 10. კერძო სახლების მესაკუთრეთ ეძლევათ უფლება იჯარით გაცემისა, საცხოვრებელ ბინების გაქირავებისა, ხოლო არა უმეტეს ქალ. რევკომის მიერ დადგენილ საფასურისა.

§ 11. იჯარის ან ბინის საფასურის მიუცემლობისათვის დასაშვებია გადასახლება მხოლოდ სახალხო სასამართლოს დადგენილებით.

§ 12. კერძო მესაკუთრეთა სახლებს განაგებენ მესაკუთრენი ან მათი რწმუნებულნი. მათ მოვალეობას შეადგენს სახლების მოვლა-პატრონობა, მიმდინარე შეკეთება, მეფოცების ყოლა, სახლის განათება, ქუჩაბანდების (ტროტუარების) და ახლო მახლო ქუჩების სისუფთავე და საერთოდ შესრულება ყოველგვარ სანიტარული და ადმინისტრაციული მოთხოვნა-განკარგულების.

შენიშვნა: ასენიზაციურ და სანიტარულ გაწენდას ანაენს ქალაქის რევკომის კომუნალური განყოფილება. სახლის პატრონის ხარჯზე.

IV. § 13 ქ. ტფილისში ბინის ქირა წესდება ა. წ. 1 ნოემბრიდან შემდეგნაირად: ქ. ტფილისი იყოფა 3 რაიონად, რომელთა სია ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

§ 14. ბინის ქირის გადახდელნი იყოფებიან სამ კატეგორიად:

ა) ის პირნი, რომელნიც იყოფებიან სახელმწიფოს კმა ყოფაზე, სახელდობრ: წითელ-არმიელები, სოციალურ უზრუნველყოფაში მყოფნი და ყველა სახელმწიფო წარმოებაში მუშა მოსამსახურენი.

ბ) ის პირნი, რომელნიც არ იყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ ეწვევიან გონებრივ და ფიზიკურ შრომას.

შენიშვნა: თავისუფალ მომუშავე ექიმები ეკუთვნიან მეორე კატეგორიას, მიუხედავთ იმისა არიან საბჭოთა სამსახურში თუ არა.

გ) ყველა დანარჩენი მოქალაქენი.

§ 15. სამივე კატეგორიის პირნი იხდიან ბინის საფასურს მათ და მათ ოჯახის მიერ დაქირავებულ ბინის სივრცის მიხედვით.

§ 16. ბინის ქირის გადასახდელად გადახდელისთვის არსებობს საერთო საბინაო ნორმა—15 ოთხ-კუთხე არშინი—მიუხედავთ წლოვანობისა, მეცადინეობისა.

შენიშვნა: საერთო დაწესებულ ნორმაზე ზედმეტ ოთახის დაჭერის უფლებით სარგებლობენ: ა) ოჯახი, რიცხვის სამზე მეტი; ბ) პროფესორები, პირნი, რომელნიც ეწვევიან კვალიფიციურ გონებრივ შრომას და პასუხის მგებელი საბჭოთა მოსამსახურენი, მათი მუშაობის ხასიათის მიხედვით; გ) ექიმები, უკანასკნელთ ეძლევათ უფლება, გარდა კაბინეტისა, მისაღები ოთახისაც.

§ 17. ბინის ქირის რაოდენობა წესდება რაიონის და გადახდელის კატეგორიის მიხედვით.

გადასახადის ნორმა თვითუფლზე საბინაო ნორმისა სულზე თვეში:

რაიონი.	1 კატეგ. მე-2 კატეგ. მე-3 კატეგ.
1 რაიონი	8.000 მ. 32.000 მ. 72.000 მ.
2 რაიონი	5.000 მ. 20.000 მ. 45.000 მ.
3 რაიონი	2.000 მ. 8.000 მ. 18.000 მ.

შენიშვნა: ნორმაზე ზედმეტი 10 არშინამდე არ მედის სივრცის გადასახად ანგარიშში 10 არშინზე ზევით ითვლება მთლად. ძირითადი თანხას ემატება (თუ ასეთი მოიპოვება).

- ა) ვანისა 3 პროც.
- ბ) სადარბაზო შესავლის 3 პროც.
- გ) შუშბანდის 3 პროც.
- დ) პარკების იატაკის 3 პროც.

შენიშვნა: 1. გასავლელი ოთახები, რომელნიც იხმარებიან არა საცხოვრებლად, არამედ შესაერთებლად ერთი ბინისა მეორესთან, დაბეგრული იქნებიან, როგორც შუშბანდი. სარდაფებზე და ნახევარ სარდაფის სართულზე გადასახადი დაკლებულია 50 პროც.

§ 19. ბინის ქირა უნდა შეტანილ იქმნას არა

უფვიანეს თვის ოცისა. მეორე და მესამე კატეგორიის გადახდელ პირთ შეაქვთ მიძინარე ბინის, ხალხის პირველ კატეგორიისა წარსულ თვეში.

შენიშვნა: 1-ლ კატეგორიის პირთათვის აღნიშნული ბრძანება ძალაში შედის მხოლოდ საცხოვრებელ მინიმუმის და კანონების შემდეგ.

§ 20. სავაჭრო, სამრეწველო და საწყობების შენობებით სარგებლობისათვის ქალაქის რეკომის მიერ ა. წ. პირველ ნოემბრიდან არსდება საიჯარო გადასახადი.

§ 21. სავაჭრო-სამრეწველო და საწყობის შენობების ადგილ-მდგომარეობის მიხედვით ქ. ტფილისი იყოფა 3 რაიონად, რომელთა საზღვრები ნაჩვენებია იქნება ბრძანებებში დართულ დამატებაში.

§ 22. სავაჭრო შენობები და დარბაზები (რასტვორები) იყოფიან ორ-კატეგორიად:

ა) სადაც მდებარეობენ კერძო მესაკუთრეთა ქარხნები, სამრეწველო დაწესებულებანი, სახელოსნოები, ფურნები და კანტორები, ბ) სადაც სწარმოებს სხვა და სხვანაირი ვაჭრობა.

§ 23. საჭირო გადასახადის რაოდენობა სავაჭრო შენობებით და დარბაზებით სარგებლობისათვის არსდება რაიონის შენობის კატეგორიის და მისი სივრცის მიხედვით; ამასთანავე ერთეულად სივრცისა მიიღება ერთი ოთხკუთხე არშინი.

§ 24. საიჯარო გადასახადი არსდება:

პირველი რაიონი, პირველი კატეგორია:

1 ოთხ-კუთხიანი არშინი	20.000 მ.
" " "	25.000 "
2 რაიონი, პირვ. კატეგ.	15.000 "
" " 2 "	20.000 "
3 " 1 "	10.000 "
" " 2 "	15.000 "

შენიშვნა: აღნიშნულ ძირითად გადასახადს ემატება (თუ ასეთი მოიპოვება):

- ა) ვიტრინები 5 პროც.
- ბ) ეზოში გასვლის 3 პროც.
- გ) საწყობის შენობის 25 პროც.

§ 25. ყოველ გადახდელს ეძლევა სარეგისტრაციო წიგნაკი აღნიშვნით ქუჩის, სახლის № რაიონი, საწერავ მოწმობის №, ბ) კატეგორია, გ) სივრცე, დ) ძირითადი გადასახადის რაოდენობა ე) გადასახადი დამატებითი ფაქტორებისა. აღნიშნული მე-24 მუხლის შენიშვნაში და ვ) საერთო ჯამი კუთვნილ გადასახადისა. სარეგისტრაციო წიგნაკი შედგენილია 2 ეგზემპლიარიდან, ერთი ეძლევა გადახდელს.

§ 26. საიჯარო გადასახადი გასული თვის შეაქვს გედახდელს სახლის მმართველთან ყოველთვიურად არა უფვიანეს ათი რიცხვისა, რომელიც უნდა აღნიშნულ იქმნეს სარეგისტრაციო წიგნში.

შენიშვნა: დროებით, სანამ შემოღებულ იქნება სარეგისტრაციო წიგნაკი, გადახდა უნდა ხდებოდეს კვიტანციის საშუალებით, რომელსაც გასცემს სახლის მმართველი.



§ 27. აღნიშნულ დროისთვის საიჯარო გადასახადის შეუტანლობისათვის მოიჯარადრის გადახდება პენის სახით დღეში 5 პროც. გადაუხდელ თანხისა, ხოლო თუ გამაზნდელი გადააცილებს 20 დღეს, იგი კარგავს უფლებას და იქნება გადასახლებული.

§ 28. დადგენილებანი გადასახადების შესახებ გამოაქვს კომუნალურ მეურნეობის სახლების სამნეო მმართველობის განყოფილებას.

§ 29. მოიჯარადრებს ეკრძალება ქუჩაბანდზე ან ქვაფენილზე თაბახის ან სხვა რამე სავაჭრო საქონლის გამოჩანა. ქუჩაბანდის და მახლობელ ქვაფენილის გაწმენდა და მორწყვა ევალებათ მოიჯარადრებს.

ქალაქის რევკომის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი.
კომუნალურ განყოფილების გამგე

ბ. გოგოტიშვილი.

იუსტიციის სახ. კომისარიატი

ინსტრუქცია

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის რეკვიზიციის და კონფისკაციის შესახებ გამოცემულ მე-5 №-ის დეკრეტის შესაფარდებლად (შინაგან საქმეთა კომისარიატის 1921 წლის „მათზე“ № 1; საქართველოს რევ. კომ. კრებული № 2, მუხლი 26).

§ 1. სასურსათო საგნების რეკვიზიცია ხდება სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, ხოლო სამეურნეო-სასურსათო საგანთა რეკვიზიცია ხდება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით. ამასთანავე ორივე ეს უწყება ანხორციელებს თავის უფლებას, როგორც უშუალოდ, ისე თავისი ადგილობრივი ორგანოების საშუალებით.

§ 2. ოჯახში სახმარებელ ნივთების ავეჯისა, ტანისამოსისა, ფეხსაცმელისა, ქორჭლისა და სხვათა რეკვიზიციისა, როცა ამას მოითხოვს საზოგადოებრივი მწვავე საჭიროება. აგრეთვე მე-5 №-ის დეკრეტში მე-5 §-ში აღნიშნული კონფისკაციის უფლება ენიჭება განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტის ან თბილისის და ფოთის ქალაქის რევკომების წევრისა, რომელიც ამავე დროს თავმჯდომარეობს, და ადგილობრივი სასურსათო კომიტეტის და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განყოფილებათა თითო წარმომადგენლისაგან.

§ 3. დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს ვის უნდა მოუხდინონ რეკვიზიცია ან კონფისკაცია, მისი სფუძველი, რა და რამდენი ნივთი და საქონელი უნდა იყოს ჩამორთმეული.

§ 4. რეკვიზიციით ჩამორთმეულ საქონელსა და ნივთებში პატრონს ეძლევა მათი ღირებულება

რეკვიზიციის დღეს ბაზარზე არსებულ საშუალო სანარდო ფასების მიხედვით. ანგარიში უნდა გაწეორდეს არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან რეკვიზიციისა.

§ 5. რეკვიზიცია უნდა მოხდეს უსათუოდ დღისით, კონფისკაცია კი, როცა იგი სასჯელის სახით ტარდება, შეიძლება მოხდეს ყოველ დროს საგანგებო კომისიის ან სასამართლო ორგანოების დადგენილებით.

§ 6. რეკვიზიციის და კონფისკაციის დროს ესწრებიან: პატრონი, საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე და ამ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, ხოლო მათი არ ყოფნის დროს ორი თანაშემწე მახლობელ მეზობელთაგან.

§ 7. რეკვიზიციისა და კონფისკაციის შესახებ დადგენილების აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა წარუდგინონ პატრონს დადგენილების პირი და ის ორდერე, რომლითაც მათ ენდობათ რეკვიზიციის ან კონფისკაციის მოხდენა.

§ 8. დათვალიერებისა და გამორკვევის დასრულების შემდეგ, სდგება ოქმი ყველა ამაზე, რასაც კი ჰქონდა ადგილი და რომელშიც დაწვრილებით აღნიშნული უნდა იყოს ყველაფერი, რაც კი ჩამორთმეული იქმნა. ოქმს ხელს აწერენ: პატრონი, რეკვიზიციის ან კონფისკაციის მომხდენი და დამსწრე მოწმეები. პატრონს უფლება აქვს შეიტანოს ოქმში თავისი შენიშვნები. ოქმის ასლი დაუყოვნებლივ ეძლევა ხელში იმ პირს, რომელსაც რეკვიზიცია ან კონფისკაცია მოუხდინეს.

§ 9. ზემოთ აღნიშნულ წესით შედგენილ ოქმის პირი ეგზავნებათ ცნობად სათანადო ცენტრალ ხელისუფლებს, ე. ი. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, იმ უწყებათაგანს, რომლის საწყობების საგანთა ნაკლებულობამაც გამოიწვია რეკვიზიცია, და აგრეთვე იმ ორგანიზაციას ან უწყებას, რომელთა საქიროებისათვისაც რეკვიზიცია ან კონფისკაცია მოხდა.

§ 10. რეკვიზიციითა და კონფისკაციით ჩამორთმეული ყველა ნივთი, სათანადო შეტარულ ჩაღებებით, იგზავნება განმკარგულებელ ორგანოების მიერ ამისათვის ნაჩვენებ ადგილს, საწყობებს თუ მაღაზიებში. აქ ბარდება იგი წონით, ზომით და თვლით, თანახმად რეკვიზიციის და კონფისკაციის დროს შეტყნებული ოქმისა.

შენიშვნა: რეკვიზიციითა და კონფისკაციით ჩამორთმეული საგნები შეიძლება ჩაბარდეს შესაბამის საბინაო კომიტეტს ან პატრონს ხელწირილის ქვეშ.

§ 11. ამა ინსტრუქციის გამოცემამდე მომხდარ რეკვიზიციის ანგარიშის გასწორება სწარმოებს მე-4 §-ში აღნიშნულ წესით, მისი ვადა კი ისაზღვრება დაინტერესებულ უწყებათა ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

იუსტიციის სახალხო კომისარის

მოადგილე ბროდსკიძე

მიწადმოქმ. სახ. კომისარიატი

შირკულიარულად.

ყველა მაზრის რევიკომს

ვინაიდან ტყეების ძირითად კანონის გამოცემაზე, ადგილობრივ მნიშვნელობის ტყის სარგებლობის დროს იბადება გაუგებრობა და ზოგიერთ შემთხვევაში ბოროტ-მოქმედებაც, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძღვეთ მომავალში იხელმძღვანელოთ შემდეგი წესით:

1) შიგ სოფელში, ან მის ირგვლივ უბან-უბან მდებარე ადგილობრივ მნიშვნელობის ტყე: ბუჩქნარი, ჩირგვნარი და ჯაგნარი, რომელიც იყო სა-

ზოგადოების მფლობელობაში და რომელსაც არა აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მხოლოდ სახალხო კომისარიატის (საქმეთა სახალხო კომისარიატი) განკარგულებაში და სარგებლობაში.

2) ასეთივე ხასიათის და მნიშვნელობის პატარა ზომის ტყეები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იყვნენ კერძო პირთა მფლობელობაში რჩებიან ისევე წინანდელ მფლობელობის სარგებლობაში, სანამ მიწათ-მოქმედების კომისარიატი შეიმუშავებს მიწის ნორმებს.

მიწათ-მოქმედების სახალხო

კომისარი ფ. მახარაძე.

სატყეო განყოფილების განგე ს. ბაქრაძე.

არა-ოფიციალური განყოფილება.

უცხოელთა მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში.

უცხოელთა მდგომარეობა სახელმწიფოში, ყოველ დროს და ქვეყანაში მთავრობისათვის განსაკუთრებულ ზრუნვის საგანს შეადგენდა. უცხოელები, მათი უფლება-მოვალეობანი მუდამ განსაკუთრებით განიხილავდა ადგილობრივ მცხოვრებთა უფლება მოვალეობათაგან. ეს უფლებანი შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგნაირად: ან გაფართოებულიყო ადგილობრივ მცხოვრებთა უფლება-ვალდებულებებთან შეფარდებით. უცხოელთა მიმართ კანონმდებლობა შეიძლება ლობიერი იყოს ან წინააღმდეგ სასტიკი და მტრულად განწყობილი, — ეს დამოკიდებულია თვით სახელმწიფოს პოლიტიკისაგან ამ საკითხში.

გადავიხილოთ წავიდა ის დრო, როდესაც სახელმწიფო განსაკუთრებით მტრულად ექცეოდა უცხოელებს და თუ ამ უკიდურეს შემთხვევაში კიდევ აქვს ადგილი, ეს მხოლოდ ჩამორჩენილ ეგზოტიურ ქვეყნებში და აიხსნება მათის უკულტურობით. ეს სახელმწიფოში უცხოელთადმი (განსაკუთრებით ევროპიელთადმი) ასეთ დამოკიდებულებას ამართლებენ ამ უკანასკნელთა (უცხოელთა) საქციელით. მაგრამ საერთოდ რომ ვსთქვათ, სახელმწიფო უცხოელებთან თავის დამოკიდებულების დროს მუდამ იძულებულია — ხან შეავიწროვოს და ხან გააფართოვოს მათი უფლებანი, ქვეყნის ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებთან შედარებით.

მაგრამ, როგორც სინამდვილე გვაჩვენებს, ამ უკიდურეს მრავალ სახელმწიფოში ევროპიელის მდგომარეობა გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე ამ სახელმწიფოთა მკვიდრ მცხოვრებლებისა.

ამ მხრივ, მათი თანამედროვე მდგომარეობა ძლიერ განიხილვა ძველის დროსაგან, როდესაც

სახელმწიფოში არსებობდა უცხოელთა საწინააღმდეგო იურიდიული პრეზუმპცია, მაგრამ არსებობდნენ ისეთი სახელმწიფოებიც, სადაც უცხოელები მუდამ სასურველი სტუმრები იყვნენ და ეს უკანასკნელნი უფრო იქ შეღავათიან და სარგებლიან პირობებში სცხოვრობდნენ — ვიდრე საკუთარ სამშობლოში. ეს სახელმწიფოები მათ ყოველთვის უწყვეტდნენ დიდ მფარველობას და ფართო სტუმართმოყვარეობას.

სხვა სახელმწიფოთა შორის აქ უნდა აღინიშნოს მეფის რუსეთი.

მეფის რუსეთში უცხოელებს პირველად იწვევდნენ, როგორც ყოველგვარი ტექნიკისა და ხელოვნების მკოდნეებსა და მსწავლეულებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში მათ ძლიერ ბევრი გააკეთეს ჩამორჩენილი რუსეთის კულტურის ასაწევად. ბოლო ხანებში კი, რუსეთი იწვევდა და მფარველობას უწყვეტად კაპიტალის მქონე უცხოელებს.

ამრიგად უცხოეთის კაპიტალმა რუსეთში დიდი ნიადაგი ჰპოვა თავის სანავარდოთ. აქ გადმობარგდა ევროპისა და ამერიკის ზედმეტად დაგროვილი თანხა, რომელსაც საკუთარ ბაზარზე აღარა ჰქონდა გასაქანი და იქაურ ბურჟუაზიას ვერ აძლევდა სათანადო მოგებას.

ამიტომ საჭირო იყო ახალი ბაზარი, მისი წარმოების ახალი დარგი. ევროპისა და ამერიკის კაპიტალმა ამ წარმოებისა და განვითარებისათვის ფართე ასპარეზი ჰპოვეს ახალ კოლონიებსა და რუსეთში. რუსეთის უზარმაზარი ტერიტორია თავისი მრავალ მილიონიანი მცხოვრებლებითა და მრავალნაირის მოთხოვნილებით, რომელიც დასავლეთთან შედარებით მუდამ სუსტი იყო თავისი შინარეწველობით, ფრიად მომხიბლავსა და მიმზიდველ პერსპექტივებს უშლიდა ევროპის სავაჭრო კაპიტალს.



სწორედ აქ არის უფართოესი ასპარეზი, სადაც ევროპის კაპიტალს შეეძლო ბრუნვა და შინაგანი კონკურენციით სუსტი რუსეთის უმრავ ბაზარზე საკუთარი ფაბრიკატების დაგროვება. დასავლეთ ქვეყნის ბაზარი, რუსეთის ბაზარს ავსებდა ადგილობრივ ნაწარმოებთან შედარებით გაცილებით იაფ და ღირსებით უფრო ძაღალ საქონლით. მეფის მთავრობა მხოლოდ ხელოვნურის, აკრძალვითი საშუალებით იფარავდა საკუთარი ქვეყნის აღებ-მიცემობას დასავლეთის ბაზრებისაგან გადაყლაპვისაგან. რუსეთის მთავრობისაგან ასეთი ზომები გამოწვეული იყო უმთავრესად იმიტომ, რომ მისი ბატონობის უკანასკნელი ხანების დროს, ე. ი. ომის დაწყების წინ — რუსეთისა და ამიერ-კავკასიის მთელი ტერიტორია მოფენილი იყო ევროპის უცხოელთა ფირმებითა და მათი წარმომადგენლებით, ყველა მოზრდილ და პატარა ქალაქებშიაც კი, მოდებული იყო უცხოელთა მთელი არმია, რომელნიც მოდიოდნენ ისეთი პროცენტებისა და მოგებისათვის, რომელიც მათ დიდხანია დავიწყებული ჰქონდათ თავის სამშობლო ქვეყანაში.

გასაგებია, რომ ყველა ეს უცხოელები წარმომადგენელნი იყვნენ ბურჟუაზიისა, რომელთაც თავის ძირვე ესოდებ გულღიათა და სიხარულით იღებდა რუსეთის მეფის მთავრობა და მისი ბურჟუაზია.

მეორეს მხრივ რუსეთისა და ამიერ-კავკასიის დაუშრეტელი და მდიდარი ძაღებში, ტყეები და სხვა მუდამ ყურადღებას იქცევდა ევროპის მწარმოებელ ბურჟუაზიისას, რომელიც მოწადინებული იყო ყოველ ინდუსტრიალურ წარმოების დარგისათვის თავისი კაპიტალის სარქველი დაეხურა, მით უმეტეს რომ რუსეთისა და კავკასიის მრეწველობა მუდამ კულში მიჰყვებოდა ევროპისა და ამერიკის მრეწველობას. ასეთი და ათასეული კონცესიონერები, მეფაბრიკენი, მექარხნეები და მათი წარმომადგენელნი მოეფლინენ რუსეთს. რა თქმა უნდა, მათ აქ იზიდავდა მხოლოდ მოგებისა და შემოსავლიანობის წყურვილი და ის განზრახვა, რომ მათ აქ შეეძლოთ მეტი პროცენტი გამოეწურათ თავისი კაპიტალისათვის, ვიდრე საკუთარ სამშობლოში. უცხოელთა მეორე ტიპსაც სიამოვნებით იღებდა მეფის მთავრობა და მას ყოველგვარ შეღავათს ანიჭებდა. ამიტომ უცხოელს სრული საშუალება ეძლეოდა რუსეთში მოეთავსებინა და აემოძრავებინა თავისი კაპიტალი.

ამრიგად უცხოელები რუსეთში უმთავრესად ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ. უცხოეთის პროლეტარიატი იშვიათად ჰგზავნიდა თავის წარმომადგენლებს და თუ ასეთ მოვლენას მანც ჰქონდა ადგილი, მათი რიცხვი შედარებით ძლიერ მცირე იყო. ეს გასაგებიც არის, რადგან რუსეთში უცხოელთა მოპზიდველ საშუალებათა შორის ბუნებრივ სიმდიდრის გარდა იყო აგრედვე ძლიერ მცირე სამუშაო ხელოფასიც. რაღა თქმა უნდა, ევროპულ მუშებიათვის ახრი არა ჰქონდა რუ-

სეთში წასვლასა და იქ მათი შრომის დაწყებას იცდვისათვის. მხოლოდ ძლიერ დახელოვნებულნი და განსაკუთრებულ გამოცდილებით აღჭურვილი მუშები ესტუმრებოდნენ ხოლმე რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებს, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ, როგორც სპეციალისტები შრომის ამა თუ იმ დარგში.

ამნაირად, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში უცხოელები უმთავრესად დასავლეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ და მათ შორის ძლიერ მცირე რიცხვი ერია დახელოვნებული მუშებისა. მათი მდგომარეობა, როგორც უფლებრივად, ისე პოლიტიკურად ისეთი იყო, რომ ისინი არასოდეს არ გახიციდნენ არავითარ შევიწროვებას და პირიქით მთავრობისა და ბურჟუაზიისაგან იღებდნენ ისეთ მზრუნველობას, რანაიოსაც ვერ ეღირსებოდნენ თავიანთ სამშობლოში.

ეს მდგომარეობა, რასაკვირველია არ ეხებოდათ იმ უცხოელებს, რომელნიც რუსეთში მოჰყავდათ, როგორც სამუშაო საქონელი — ე. ი. პროლეტარიატის წარმომადგენელთ. ისინი პირიქით, მუდამ განიცდიდნენ აუტანელ შევიწროვებას, რადგან გარდა იმისა, რომ მათ ძლიერ მცირე ხელფასს აძლევდნენ, ამუშავებდნენ ისეთ ძნელ საქმეზე, სადაც რუსის მუშებიც კი არა თანხმდებოდნენ მუშაობას. ამ მოვლენას რუსეთში განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა ომის დაწყების წინა წლებში, როდესაც ძარტო პეტერბურგში მუშაობდა რამოდენიმე ათეული ათასი ჩინელი შავი მუშა.

უცხოელები, პოლიტიკურად და ქონებრივად ერთგვარ განსაზღვრულ პირობებში იყვნენ მოქცეულნი, რასაკვირველია უცხოელთა ზემოთ ნახსენებ კატეგორიისათვის არსებული პოლიტიკური განსაზღვრა საგრძნობელი არ იყო, რადგან ყოველ ცალკე შემთხვევაში ამ განსაზღვრულ უფლებათა შერბილება მათთვის მუდამ შესაძლო იყო. მათი უფლებრივი შეზღუდვა, რომელიც ხშირად დაკავშირებული იყო ქონებრივ მდგომარეობასთან, და რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ სახელმწიფო უკრძალავდა განსაზღვრულ ადგილზე და განსაკუთრებით საზღვარზე მდებარე უძრავ ქონებათა შექმნას, მათ ძლიერ ნაკლებად აწუხებდა, რადგან მათი ინტერესები სულ სხვა ძირვე იყო მიმართული. გარდა ამისა, ამ შეზღუდვის მიზანი იყო სახელმწიფოს მთლიანობის დაცვა სამხედრო მოქმედების თვალსაზრისით, ე. ი. რუსეთის მთავრობა ცდილობდა ხელი შეეშალა უცხოეთის სახელმწიფოებისათვის მათი პოლიტიკური დაზვერვის მოწყობის საქმეში.

შეზღუდვის მეორე კატეგორია ეხებოდათ დევნილ ევრედ წოდებულ „პოლიტიკურ“ დამნაშავეებს, რომელთა შესახებაც არსებობდა სასურსათო კონვენციები და შეთანხმებანი მათი გადაცემის შესახებ და ამ სახით, მსოფლიო ბურჟუაზია მთელს დედამისს ზურგზე სდევსიდა მის წინააღმდეგ აფ-

ბრძოლ კლასის წარმომადგენლებს. ეს კლასი განსაკუთრებით სასტიკ ღვენასა და შევიწროებას რუსეთში განიცდიდა; სადაც ამ დარგის უცხოელებს საშუალება არა ჰქონდათ იმ შეღავათით სარგებლობისა, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთათვის არსებობდა. უკეთეს შემთხვევაში მათ მოელოდათ სახელმწიფოს საზღვრებიდან გადასახლება მაინც.

მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ თავის მტერთა ღვენის ამგვარი წესი არსებობს ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ძალა უფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა, ასეთი მდგომარეობა შეიცვალა და ამიერიდან ამ პროლეტარიატის ღვენილ წევრებს შეუძლიანთ მუდამ თავშესაფარი და დახმარება ჰპოვონ რუსეთის ძლიერამოსულ მებრძოლ პროლეტარიატის მტკიცე რიგებში, რომელნიც რისხვით ამდგარან მუშებისა და გლეხების დამხავრელთა წინააღმდეგ. რუსეთის სახალხო კომისარიატსა საბჭომ თავის ერთ პირველ დეკრეტთანში (№ 56) რუსეთის მიწა-წყალზე სრული უფლება და თავშესაფარი მიუძინა ყველა იმათ, ვინც თავის სამშობლოში ღვენილია საკუთარი მთავრობის მიერ. ამიერიდან პროლეტარიატის ყველა ღვენილმა მებრძოლმა იცის, რომ მათთვის არსებობს ძმური ქვეყანა, სადაც მათ შეუძლიანთ თავი დაახსიონ მტრების ღვენას და თავის ამხანაგებთან სული მოათქვან მძიმე ბრძოლის შემდეგ.

მაგრამ გარდა ზემოხსენებულ უცხოელებისა, საბჭოთა მთავრობას აგრედვე უხდება შეხვედრა მის საზღვრებში სხვა და სხვა მიზნებით შემოსულ უცხოელებთან, როგორც მაგ. მრეწველებისა, კომერსანტებისა, მეცნიერებისა და სხვა და სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, რომლებთანაც საბჭოთა სახელმწიფოს აქვს რაიმე დამოკიდებულება და აგრედვე პროლეტარიატის წარმომადგენლებისა, რომელნიც მუდამ ეძიებენ თავისუფლების საუკეთესო საფანეს.

საბჭოთა ხალხისუფლების მიერ აღებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსი წინასწარვე სწყვეტს მის საზღვრებში უცხოელთა შემოჭრის საკითხს. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ დაინახა კანონით განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს ის უფლებრივი ნორმები, რომლებშიც მათ შეუძლიანთ მოქმედება, გამოარკვიოს ის დამოკიდებულებანი, რომლებიც უცხოელებმა უნდა იქონიონ როგორც საბჭოთა მთავრობის, აგრედვე მისი ქვეყნის მკვიდრ მცხოვრებთა მიმართ. თავისთავად ცხადია, რომ მათი მდგომარეობა რაოდენადმე განსხვავებული იქნება ადგილობრივ მცხოვრებთა მდგომარეობისაგან.

საქართველოს რევკომის დეკრეტმა № 64 სრულის სისწორით განსაზღვრა სახელმწიფოში შემოსულ უცხოელთა მდგომარეობა პოლიტიკურისა და უფლებრივის მხრივ.

უპირველეს ყოვლისა—ვინ არიან ისინი, ვი-


საც დეკრეტი უცხოელებს უწოდებს? ვინაა ის პირი, ვინც შემოდინა საქართველოს საზღვრებში და რომელთაც აქვთ საზღვარ გარეთ საკუთარ სამშობლოში მიღებული პასპორტები.

ის უცხოელი კი, რომელსაც არ აღმოაჩნდება თავის სამშობლოში მიღებული პასპორტი, ასეთ პირად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გარეშე საქმეთა კომისარსა და უცხოელ დიპლომატიურ ან საკონსულოს წარმომადგენელთა შეთანხმების შემდეგ. ამ მუხლს დიდი მნიშვნელობა აქვს თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში მრავალი უცხოელი სცხოვრობს და სცხოვრობს ძლიერ დიდი ხანიც, მათ შორის აღსანიშნავი არიან: ფინლიანდის, პოლონეთის და რუსეთის ყველა ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა მოქალაქენი, რომელთაც რა თქმა უნდა არ შეეძლოთ მიეღოთ მათ სამშობლოში ხელახლად შექმნილ სახელმწიფოს პასპორტი. მამასადამე ბუნებრივია რომ მათ ეს პასპორტები უნდა მიიღონ თავიანთ ელჩებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს საშუალებით, რომელთაც საქართველოს მთავრობასთან აქვთ ასეთი ურთიერთობა.

უცხოელმა, საქართველოში ჩამოსვლისათანავე ხელისუფლების სათანადო ორგანოს უნდა წარუდგინოს საზღვარგარეთელი პასპორტი, და როგორც საზოგადოდ მიღებულია, მიიღოს ვიზა. ახ პირადობის მოწმობა, რომლის საშუალებითაც მას უნდა მიენიჭოს საქართველოს ფარგლებში ცხოვრების უფლება. ყოველი უცხოელი იმყოფება საქართველოს კანონების მფარველობის ქვეშ და სარგებლობს ყველა უფლებრივის ნორმებით, ადგილობრივ მოქალაქეთა თანაბრად, გარდა პოლიტიკურ უფლებისა.

მათთვის დაწესებული არ არის არავითარი ქონებრივი შევიწროება, რასაც ადგილი ჰქონდა ძველი მთავრობის დროს და ამ რიგად მათი უფლებები უფრო გაფართოვებულია. მართალია, საქართველოში თუმცა არსებობს უცხოელთა პოლიტიკური უფლებების განსაზღვრა, მაგრამ აქაც შესაძლებელია გამოჩაყლისის დაშვება. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს რევკომის დადგენილებით, უცხოელებს მიენიჭებათ პოლიტიკური უფლებანიც, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიანთ აქტიური და პასიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა არჩევნებში, იმუშაონ პოლიტიკურ ორგანიზაციაში და სხვ. ამ შემთხვევაში უცხოელს უფლების მიღებასთან ერთად, ეკისრება აგრედვე ის ვალდებულებანიც, რომელნიც დაკისრებული აქვს ყველა მოქალაქეს.

თავისთავად ცხადია, რომ ეს უფლება ვალდებულიებანი არ ენებათ უცხოეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელთ, ვინაიდან სხვაც რომ არაფერი მივიღოთ მხედველობაში, თვით ადგილობრივ მკვიდრთ არ შეუძლიანთ რაიმე საერთო სათანამშრომლო იქონიონ იმ კლასის წევრებთან, რომლის წინააღმდეგაც ისინი კლასიურ ბრძოლას აწარმოებენ. პოლიტიკური უფლების შეზღუდვა კიდევ იმას არა



ნიშნავს თითქოს უცხოელს ნება არა ჰქონდეს დაეკავოს რაიმე სახელმწიფო თანამდებობა. ეს დასაშვებია და უცხოელი თანამდებობას დაიჭერს და ნიშნით ხოლო ზოგიერთ შეთხვევაში, თვით თანამდებობის ხასიათის მიხედვით მისი დანიშვნა არჩევით მოხდება.

დეკრეტის ეს მუხლი მნიშვნელოვანია, რადგან საშუალებას იძლევა, რომ სახელმწიფომ უცხო შალა გამოიყენოს იმ შემთხვევაში, როცა მას ამო თუ იმ თანამდებობისათვის შესაფერისად მომზადებული პირი არა ჰყავს.

უცხოელი თავისუფალი სამხედრო ბეგარისაგან და აგრძედე იმ სამუშაოსაგან, რომელიც გამოწვეული იქნება განსაკუთრებით სამხედრო მიზნით. ეს დებულება, რომელსაც ყველა სახელმწიფო მტკიცედ იცავს, ერთნაირად ხელსაყრელია როგორც უცხოელთათვის, აგრძედე მათ შემდგომ ქვეყნისათვის, ვინაიდან არავის არ შეუძლიან აღამიანი აიძულონ მისთვის უცხო ინტერესებისათვის საბრძოლველად, ხოლო რაც შეეხება შრომის ბეგარას, უცხოელი მას იხდის საქართველოს მოქალაქეთა თანახმად. ეს გასაგებიც არის რადგან ამ საშუალებით უცხოელი მონაწილეობას იღებს იმ ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობაში, რომლის პურითაც იგი თავს ირჩენს.

კერძოდ უფლებრივი მდგომარეობა უცხოელისა საქართველოში თითქმის არც კი განსხვავდება ადგილობრივ მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობისაგან. უცხოელს უფლება აქვს მკვიდრთა თანაბრად თავისუფლად იცხოვროს და იმოგზაუროს რესპუბლიკის ყველა კუთხეში, სახელმწიფოს საერთო კანონის ფარგლებში შეიძინოს უძრავ-მოძრავი ქონება, აიღოს იჯარა, აწარმოვოს თავისუფალი ვაჭრობა, ხელობა, მრეწველობა და სხვა ყოველგვარი საქმიანობა, დასდოს ყოველგვარი ხელშეკრულება როგორც ადგილობრივ ისე საზღვარგარეთელ მკვიდრთან, მხოლოდ დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონთა ყველა ფორმა და წესი.

სასამართლოს დამკველობითი წესის უფლება უცხოელეზზე ვრცელდება საერთო წესის თანახმად, სისხლისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა მათზე ვრცელდება მხოლოდ სასამართლოთა განაჩენების, და დადგენილებათა სახით. დეკრეტის ძალით უცხოელის ბინის გაჩხრეკა ხდება მხოლოდ საერთო კანონების მიხედვით. მისი ქონების კონფისკაცია შესაძლებელია მხოლოდ საერთო სასამართლოს წესით-როგორც სისხლის დანაშაულობათა ჩადენის შედეგი. უცხოელის გარდაცვალების შემდეგ მისი დარჩენილი ქონების მემკვიდრეობის ყველა საკითხები სწავება იმ კონვენციის ძალით, რომელსაც საქართველოს მთავრობა შეჰკრავს გარდაცვალებულ უცხოელის სახელმწიფოსთან.

ამრიგად, საქართველოში უცხოელთა მდგომარეობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლიტიკურსა და სამხედრო უფლებებს, ძლიერ ნაკლებად განირჩევა რესპუბლიკის მკვიდრ მოქალაქეთა

მდგომარეობისაგან. საზოგადოდ მათა აქვე ერთი და იგივე უფლებანი და ეკისრებათ ერთნაირ მოვალეობანი, რაც ყველა დანარჩენ მოქალაქეებს. მხოლოდ სავაჭრო და სამრეწველო დარგში ადგილობრივ მკვიდრ მოქალაქეებთან შედარებით ისინი განსაკუთრებული უფლებებითა სარგებლობენ.

ამ ნიადაგზე მათი უფლებების გაფართოვება ნაკარნახევია უპირველეს ყოვლისა იმ მნიშვნელობით, რომელიცა აქვს უცხოეთის სახელმწიფო ვაჭრობასა და ურთიერთობას საბჭოთა საქართველოსთან. ამ მხრივ უცხოელთა და მკვიდრთა გათანასწორება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი.

ამიტომ, ის სავაჭრო დაწესებულება, რომელიც უცხოელს ეკუთვნის და რომელსაც მიზნად აქვს დასახული საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობის წარმოება მთავრობის მხრივ სარგებლობს განსაკუთრებულ უფლებებითა და მფარველობით (დეკრეტი 3. 13)

საბჭოთა მთავრობის მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის აღიარების შემდეგ პირველ რიგში ხდება საკითხი ევროპასთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისა. თავის მხრივ ევროპაც მოწადინებულია ჩვენთან კეთილ მესაზღვრობას, რადგან მას ძლიერ ეჭირება ჩვენი ბაზრები თავისი ფაბრიკატების გასაფრცვლებლად. ამ გამოად ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთის მხრივ ემჩნევა ყველა ფასეულის წარმოების კალოსაღურის სიჭარბე, ხოლო მეორე მხრივ ბაზრის უქონლობა მათს გასასაღებლად. მთელი რიგი იმ ქვეყნებისა, სადაც წინად კაპიტალისტური წარმოების გამსაღებლად ითვლებოდნენ, ესლა ან სავსებით დაუკარგავთ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებს, ან კიდევ ძლიერ მცირე ურთიერთობა აქვთ მათთან. ეს მოვლენა გამოწვეულია მსოფლიო ომისა და მის თანამდეგ მთელ რიგ რევოლუციითა მიზეზებით. მათ შორის პირველი მნიშვნელობა ეკუთვნის საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოს, როგორც ბასეინებით მდიდარ ქვეყანას, რომელიცა ნოქავს კაპიტალისტური ქვეყნების წარმოების საგნებს.

ბურჟუაზული სახელმწიფონი ძლიერ ნაკლებ ხალისს იჩენენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობა იქონიონ და ცდილობენ მათ მსოფლიოსაგან მოწყვეტას სასტიკა ბლოკადის რკალის შემორტყმით. მაგრამ ეკონომიური აუცილებლობა აიძულებთ—მიმართონ სწორედ საბჭოთა რესპუბლიკებს. ისინი ცდილობენ დააჩქარონ ამ ურთიერთობის დამყარება და ამ დარგში ერთმანეთს ეცილებიან კიდევ. ამას ხელს უწყობს განსაკუთრებით მათს ქვეყნებში შექმნილი შინაური მდგომარეობანი, როგორც მაგალითად არის უმუშევრობა, რომელმაც უკანასკნელ ხანს მრისხანე ზრდის ხასიათი მიიღო ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებში.

ამ მხრივ ჩვენამდე მოღწეულ ცნობების მიხედვით უმუშევრობა ძლიერ გაიზარდა ინგლისშიც, სადაც რე-

გისტრაციით აღნიშნულ უმუშევართა რაოდენობა აღწევს 1 1/2 მილიონამდე, საფრანგეთში 900000 მდე, ამერიკაში 4,000,000 მდე და სხვ. ფაქტიურად ეს მდგომარეობა უფრო უარესია, ვინაიდან უმუშევართა უმრავლესობა რევისტრაციით არ არის აღნიშნული. კაპიტალისტური ინდუსტრიის ქვეყნებში მომხდარი მთელი რიგი ვაჭრობები ძირს უკრთობს დასავლეთის ბურჟუაზიას. ამავე დროს, შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ ბურჟუაზია იძულებულია მუშებს შეუმციროს სამუშაო ხილვასი, როგორც ეს ხდება ინგლისში, შეერთებულ — შტატებში და სხვაგან, სადაც ზოგიერთ წარმოების დარგში შრომის ხელფასი შეამცირეს ორჯერ მეტად, ვიდრე ეს იყო ომის დაწყებამდე, ან შეამცირეს წარმოება, რასაც შედეგად მოსდევს ასეთი ათასი უმუშევართა ქუჩაში დატოვება. ასეთ შემთხვევებს აღვილი აქვს ინგლისის, ამერიკისა და იაპონიის სამრეწველო დარგებში, სადაც ძლიერ შემცირებულია შიძიე ინდუსტრია.

ასეთი შემოკლება წარმოებისა არის პირდაპირი შედეგი ბაზრების დახშობისა, რადგან არ შეიძლება წარმოება, თუ ნაწარმოები გაუსაღებელი რჩება. ამავე დროს ისეთი კოლოსალური რეზერვუარი, რომელიც დაუსრულებლად ნაქაფა და ევროპის სახელმწიფოთა საგნებს, როგორც არის საბჭოთა რეპუბლიკები, ჯერჯერობით დაკრალა და მიწვედამ ღი დასავლეთის კაპიტალისათვის.

ყველა მოთხოვნილებაში, რომელსაც უდგენენ თავიანთ მთავრობებსა და ბურჟუაზიას ევროპის — განსაკუთრებით კი ინგლისისა და ამერიკის მუშები. წითელ ხაზით მიჰყვება მოთხოვნილება რუსეთთანა და მასხადამე, საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

ამრიგად, ყველასათვის აშკარა ხდება, რომ მხოლოდ საბჭოთა საზღვრების გახსნით შეიძლება დასავლეთ ევროპის მრეწველობის ნაწარმოებთა გასაღება, რომელიც მრავალ მილიონიან (რომელიც ამჟამად უმუშევრად იმყოფება) მუშახელს საშუალებას მისცემს საქმეს მოაკიდოს ხელი. ტყუილად კი არ სთქვა ინგლისის მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა, რომ მხოლოდ რუსეთის შეკვეთას ინგლისის მანუფაქტურაზე — შეუძლიან ინგლისში უმუშევრობის მოსპობა.

ამ პირობების მიხედვით, უცხოეთის კაპიტალი იძულებული ხდება წაბურთავად მოაშუროს დასავლეთის და საბჭოთა რესპუბლიკებს დაუკუნროს კარები თავის ნაწარმოებთათვის ბაზრის მოსაპოვებლად.

დასავლეთის ეკონომიური ცხოვრება შერყეულია თავის საძირკვლამდე, მას არ შეუძლიან განაგრძონ ნორმალური მსოფლობა რუსეთისა და საბჭოთა ქვეყნების ბაზრის გარეშე. ამიტომ, საბჭოთა რუსეთს — კიდევ რომ არ უნდოდეს ევროპის

კაპიტალის თავის საზღვრებში შემოშვება, ის მაინც შემოიჭრება, რადგან ევროპის მრეწველობისათვის ბაზრის მოპოვების საკითხი უკიდურესად დრო-სასიცოცხლო საკითხი.

მაგრამ თავის მხრივ საბჭოთა რუსეთიც, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსის მიღების შემდეგ — თანაბრად არის დაინტერესებული ამავე საკითხით და ამიტომ, სტუპარტ-მოვარეობითა და ხალხის იღებს როგორც უცხოელებსა და ევროპის კაპიტალის წარმომადგენლებს, აგრედვე თავის ტერიტორიაზე არსებულ მათ საკურო დაწესებულებებს.


საბჭოთა წყობილება ჯერ კიდევ განიცდის რევოლუციონურ დუღილს, მას ჯერ არ ჩამოყალიბებია თავისი მმართველობის ფორმები. ამიტომ, ქვეყნის მკვიდრმა მცხოვრებელმა, რომელიც თვითონ იღებს უმუშევრო მონაწილეობას ამ ფორმების შექმნაში, არ უნდა დაივიწყოს რომ საბჭოთა საზღვრებში შემოსულ უცხოელისათვის ყველა ეს მისი მისწრაფება გაუგებარია, უცხოა და ხშირად იგი მტრუოდ არის მისდამი განწყობილი. უნდა ახსოვდეს, რომ ამ უცხოელთა უმრავლესობა არის ბურჟუაზიის წარმომადგენელი. ამიტომ, მათ არაფერი აკავშირებს მათთვის უცხო ქვეყნის შინაურ წყობილებასთან.

ისინი მოსულნი არიან თავიანთ საკომერციო საქმეების გასაკეთებლად და არა მხოლოდ აიჩანონ ის შევწროება და ქვეყნის შინაგანი წყობილების სიმძიმე, რომელსაც იტანს მკვიდრი მოსახლეობა. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ მოისურვებენ თავიანთი კაპიტალის შემოტანას მათთვის მტრულად განწყობილ მხარეში. კაპიტალი, როგორც ბურჟუაზიული დასაწყისი — მუშამ მხდა ოი და მშობარაა განსაკუთრებით უცხოეთის კაპიტალზე ითქმის ეს.

ამიტომ, უცხოეთის კაპიტალის ფართოდ მოსაზიდავად საჭიროა მისთვის შეღავათიანი პირობების შექმნა აღვილობრივ მცხოვრებლებთან შედარებით. დეკრეტი მთელ რიგ პუნქტებში ითვალისწინებს ამას და ცდილობს რაც შეიძლება ნაკლებად შეაფწროვოს და დაიცვას იმ შემთხვევებისა და უსიამოვნებათაგან, რაც მისთვის მოსალოდნელია რევოლუციონურ ქვეყანაში.

მაგრამ დეკრეტი სასტიკად განსაზღვრავს უცხოელისა და აღვილობრივ მოქალაქის საწარმოო დაწესებულებას. ე. ი. უცხოელის საწარმოო დაწესებულებად ითვლება და შეღავათით სარგებლობს ის წარმოება, რომელიც ეკუთვნის უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომს და იაჭობას აწარმოებს საზღვარ-გარეთსა და საქართველოსთან. ასეთი წარმოების დარგი საგანგებო რევისტრაციით აღნიშნება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან, რომელშიაც მონაწილეობენ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უაღლეს საბჭოს წარმომადგენლები.

აი, ასეთ საწარმოო დაწესებულებებს ენი-



ქებით ზოგიერთი შეღავათი ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით, რადგან ცხადია, რომ უცხოელს არც შეუძლიან და არც ვალდებულია ადგილობრივ მკვიდრს გაუთანასწოროდეს და მიიღოს მისი შინაური ყველა ვალდებულებანი. ამ შემთხვევაში ის პრივილეგიებს თავის კაპიტალს და წვევა ასეთი ქვეყნიდან. ამის შედეგი იქნება ის, რომ ხსენებული უცხოელი სხვასაც ხელს შეუშლის ჩვენში საეკონომიკური წარმოების დაარსებაში. ასეთ პირობებში კი რა თქმა უნდა, აღარ შეიძლება ლაპარაკი არავითარ კონცესიებზე, უცხოეთის კაპიტალის მოზიდვაზე და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე.

ამიტომ, უცხოელის წარმოების ქონება დასაქონელი არ ექვემდებარება კონფისკაციასა, რეკვიზიციასა და საზოგადოდ რაიმე სახის იძულებით ჩამორთმევას (დეკრეტი მუხ. 14.) თავისთავად ცხადია, რომ აქ არ იგულისხმება დატუსაღებისა და ჩამორთმევის შემთხვევა, რომელიც უნდა მოხდეს სასამართლოს დადგენილებით. ეს უკანასკნელი სრულიად კანონიერი ზომაა და მან არ შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს უცხოეთის კაპიტალზე, პირიქით, როგორც სასამართლოს უკანონო ზომა, ეს უკანასკნელიც ემსახურება სახელმწიფოში უცხო კაპიტალის განმტკიცებისა და მისი წარმოების გააღვივების საქმეს.

რეგისტრაციით აღნიშნულ საწარმოო დაწესებულებას თავის მფლობელისა, რწმუნებულისა, თუ წარმომადგენლის სახით — უფლება აქვს თავისი ქონება და დასაქონელი სრულს განკარგულებაში იქონიოს — თანახმად იმ წესებისა, რომლებიც დადგენილია საქონლის თავისუფლად შემოტან-გატანის შესახებ.

რევოლუციონური ბრძოლის პერიოდში და აგრეთვე იმ სიღარიბის დროს, რომელიც თან მოჰყვა ამ პერიოდს — საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო მიეღო ზოგიერთი უკიდურესი ზომა, რამაც საკმაოდ შეაფაროვა სახელმწიფოში არსებული უცხო წარმოება და მისი დასაქონელი. ამის გამო, შემდეგში ელემენტარულ სამართლიანობის დაცვის მიზნით, ამ შევიწროვებისაგან გაანთავისუფლა უცხოელთა ქონება და დასაქონელი, რომელთაც მათ შემოიჩინეს რესპუბლიკაში და ამით გაზარდეს მისი სიმდიდრე — რა თქმა უნდა, იმ შინაგანი წესების დაცვით, რომლებიც არსებობს საქონლის შემოტან-გატანის შესახებ.

სწორედ ასევე, დეკრეტით ვალისწინებს რეგისტრაციით აღნიშნულ წარმოებათა საწყობ შენობებისა, მათი კონტორებისა და აგრეთვე მათ წარმომადგენელ და რწმუნებულთა ბინების განთავისუფლების საკითხსაც, უკეთეს ეს უკანასკნელი საერთო წესით რეკვიზიციასთან შევიწროვებას არ ექვემდებარებიან.

უცხოელთა პირადი ბინებისა და კონტორების რეკვიზიცია, ან მათი შევიწროვება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის, დესტრუქციით, რის შემდეგაც ჩამორმეულ ბინების სახეობად უცხოელთ უნდა მიეცეს შესაფერისი ბინა (დეკრ. 3. 16)

ამ შემთხვევაშიც დეკრეტი სრულიად სამართლიანად უზრუნველყოფს უცხოელს, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფოში შემოუტანია თავისი კაპიტალი ყველა იმ უწყისობასა და უსიამოვნებისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს ბანის რეკვიზიციას, მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზომა არ არის უცხოელის სიძაჩით გამოწვეული, არამედ ეს მხოლოდ ზრუნვა და დახმარებაა იმ ქვეყნის გაჯანსაღებისათვის წარმოებულ ეკონომიკის საქმისა, რომელსაც ეს უკანასკნელი თუმცა უნებურად, მაგრამ მაინც ხელს შეუწყობს, ჩაპრის თავის კაპიტალსა და ცოდნა-გამოცდილებას. ამიტომ, თანაბარვე შეღავათით ისარგებლებს ყველა ის ადგილობრივი მკვიდრი მოქალაქეც, რომელიც ხელს შეუწყობს ხსენებულ საქმის განხორციელებას.

უცხოეთის წარმოების ადგილობრივ წარმომადგენელთა საწყობები, რომლებშიც ინახება მასული საქონელი, აგრეთვე კონტორები, სადაც დაცულია ანგარიშები და ამ ფორმათა მიწერ მოწერა და საბუთები, მთავრობა მფარველობას უწყის თანახმად დეკრეტის მეთექვსმეტე მუხლისა. ეს არა ვრცელდება ადგილობრივ მოქალაქეებზე და კერძო ვაჭრობის მწარმოებელ უცხოელთა წარმომადგენლებზე, რომელნიც რეგისტრაციაში არ არიან გატარებულნი.

ზემოთ აღნიშნულ წესისამებრ რეგისტრაციაში აღინიშნებიან აგრეთვე შემდეგი საწარმოო დაწესებულებანი: ა) წარმოება, რომელიც ეკუთვნის ისეთ ამხანაგობას, სადაც ძირითადი კაპიტალის ნახევარზე მეტი ეკუთვნის უცხოელს და რომელსაც წარმოება დაუწყია არა უგვიანეს 1921 წლის 25 თებერვლისა, ბ.) ის სააქციონერო საზოგადოებანი რომლის აქციების ნახევარიც უცხოელს ეკუთვნის და შექნილია არა უგვიანეს 1921 წლის 25 თებერვლისა. და ამ შემთხვევაშიც, როგორც სხვაგან, დეკრეტით უფლებდვარ შეღავათსა და ხელსაყრელ პირობებსა ჰქმნის უცხოეთის კაპიტალის ფართოდ მოსაზადად ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ იმ უცხო წარმოებათა შესანარჩუნებლად, რომლებიც მოქმედებდნენ რესპუბლიკის ვარკლებში. ამ მიზნით ასეთივე შეღავათი ეძლევათ ისეთ წარმოებებსაც კი, რომლებიც საესებით უცხოეთის ძირითად კაპიტალს არ ეყრდნობიან.

ამავე დროს იმ უცხოელებს რომელთა წარმოება ან დასაქონელი მოქცევა საბჭოთა რეკვიზიციისა და კონფისკაციის ზონაში, უფლება აქვთ დაიბრუნონ ისინი ან აინაზღაურონ საქონლის ნაწილი იმ შემთხვევაში, თუ ამ დარგის წარმოებაში უცხოელი მონაწილეობდა ამა წლის 25 თებერვლამდე. ამნაირად, დეკრეტით უფლებდვარ უზრუნველყოფს უცხოელის ინტერესებს და მის კაპი-

ტალს, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი დაბანდებული საბჭოთა ტერიტორიაზე, იცავს ყველა იმ რევოლუციონური ზომებისაგან, რომელთა მიღებაც დასჭირდება საბჭოთა ხელისუფლებას. სიტყვა რომ არ გავაგზავდეთ, ასეთია საერთო ფორმა საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულებისა უცხოელთა ქონებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

თავისთავად ცხადია, რომ უცხოელნიც ვალდებული არიან უკლებლივ შეასრულონ საბჭოთა მთავრობის ყველა კანონიერი მოთხოვნები, რომლებიც შეეხება მათთან ეკონომიურ ურთიერთობის წარმოებას.

რაც შეეხება უცხოელთა მეორე კატეგორიას, რომელნიც შემოდიან საბჭოთა საქართველოს საზღვრებში, ე. ი. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან შეგობრულ ურთიერთობის მქონე სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ისინი სარგებლობენ ყველა საერთაშორისო უფლებრივი ნორმებით. დიპლომატიური წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები ხელშეუხებელი არიან. ხელშეუხებელია აგრედვე მათი ბინები და წარმომადგენლობის შენობა. ყველა ეს პირნი და მათი ბინები თავიანთ ვიწრო ფარგლებით საბჭოთა გამგებლობის გარეშე რჩება, ე. ი. საერთაშორისო უფლებების ენით რომ ესთქვათ ისინი სარგებლობენ ექსტერიტორიალური უფლებებით. ექსტერიტორიალურის უფლებებით სარგებლობენ აგრედვე მათი შეიკრიკები, პიკეტები, ქაღალდები, ბარგი და სხვა და ისინიც ხელშეუხებელი არიან. ეს უფლება არ ენიჭებათ საელჩოს მოსამსახურეებს.

ამნაირად ქვეყნის სიკეთისა და მის ეკონომიურად და კულტურულად ფეხზე წამოყენებისათვის, საბჭოთა მთავრობა მიისწრაფის მხოლოდ იქითკენ, რომ გამოიყენოს უცხოეთის კაპიტალი, მათი ცოდნა და გამოცდილება, მხოლოდ და მხოლოდ როგორც საშუალება ამ მიზნის მალე მისაღწევად.

იზიდავს რა თავისი ტერიტორიის საზღვრებში ყველა შეღავათისა და უპირატესობის საშუალებით საერთაშორისო კაპიტალს, — საბჭოთა მთავრობა სცდილობს — გამოიყენოს მისი ძალა და ენერჯია საბჭოთა აღმშენებლობის მიზნით, მისი დახარებით შექმნას და ჩამოაყალიბოს ცხოვრების ახალი ფორმები, ფორმები რომელსაც გააფართოვების სიძულვილით ებრძვის დასავლეთის ბურჟუაზია, ამ საშუალებით საბჭოთა მთავრობა აიძულებს, რომ მან თვითონვე მიიღოს მონაწილეობა პროლეტარიატის ბრძოლაში მის (კაპიტალის) წინააღმდეგ, რადგან დასავლეთის ბურჟუაზიის მიერ საბჭოთა ტერიტორიაზე აშენებული ყოველი ქარხანა, ყოველი ფაბრიკა — არის ახალი სიმაგრე, ახალი ფორტი, საიდანაც აჯანყებული პროლეტარიატი თავს დაესხმის და განაგრძობს დაუნდობელ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ლ. ხარაჯიშვილი.

ადმინისტრაციულ პრეტალთა გენერალ-კაბეში

(შემდეგი *)

კომისიაში პირველ ყოვლისა დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში შეუძლია მხიქონიოს მსჯელობა — ოსთა მოსახლეობისათვის ახალი სამაზრო ერთეულის და ამ ერთეულში საერთაშორისო თვითმართველობის დაწესების საკითხის განხილვა აქვს დაკისრებული მთავრობის მიერ, ა. უ მას შეუძლია უფრო ფართოთ შეეხოს საგანს, ხახელლობა განიხილოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის მინიჭების საკითხი ოსთათვის და ამის შესახებ გამოიტანოს თავისი დასკვნა. კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში ა) განცხადება იუსტიციის მინისტრისა, რომ კომისიის მუშაობა შეზღუდულია იმ პროექტის ფარგლებით, რომელიც შინ. საქ. მინისტრმა წარუდგინა მთავრობას ე. ი. მაზრა-ფრობის, დაწესების საკითხი, ბ) თვით სთა დელეგაციის განცხადება, რომელიც საერთოთ კმაყოფილდებოდა მთავრობის პროექტის მთავარი წინადადებით და გ) ის გართულებული დგომარეობა საზოგადოთ რესპუბლიკაში და კერძოდ გორის მაზრაში, რომელსაც ისეთი ახალი პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტას, როგორც არის ოსთა ავტონომიის საკითხი, შეეძლო გამოეწვია არასასურველი შედეგები, — მიიღო რა ყველა ეს მოსაზრებანი მხედველობაში, გადასწყვიტა არ გასცილდეს შინ. საქ. მინისტრის მიერ წარმოდგენილ პროექტის ფარგლებს.

გაიზიარა რა პრინციპიალურათ დედა-აზრი მინისტრის წინადადებისა, კომისია შეეხო დეტალურათ იმ ძირითად დებულებებს დეკრეტის პროექტისას, რომელიც ოსთა დელეგაციას არ აკმაყოფილებდა.

განზარახული მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრათ კომისიამ შეუძლებლათ მიიჩნია აღიაროს სოფ. ცხინვალი, რომელიც ქართული სოფელია, ქართულ სოფლებით გარშემორტყმული და რომელსაც თვით ოსები არ თვლიან ოსურ სოფლათ.

შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსები მოითხოვდნენ საზოგადოებათა თუ ცალკე სოფელთა ჩარიცხვა-გამორიცხვის წესის გამარტივებას განცხადებითი წესის შემოღებით. ვერც ეს შესწორება მიიჩნია კომისიამ მისაღებათ და მიზან-შეწონილათ. ამის მთავარი მოტივი ეს იყო: მაზრაზე მიწერა ახალი რაიონების თუ იქიდან გამოწერა, — ეს ადმინისტრაციული გადამიჯნაა, რომელიც ახალს კრედიტებს იწვევს, ხელისუფალთა კომპეტენციას აფაროვებს თუ ამოკლებს. ყოველი ეს კი ისეთი აქტებია, რომელიც საკანონმდებლო დაწესებულებების გარეშე ვერ დადასტურდება.

ვერც სახელწოდებას „ოსური“ ახალი ერთეულისათვის ვერ დაეთანხმა კომისია იმ უბრალო მოსაზრებით, რომ არც ერთს მაზრას საქართველოს

*) იხ. „მათხმე“ № 21.



რესპუბლიკაში ეტნოგრაფიული სახელი არა აქვს. რაც შეეხება ენას, კომისიამ ის აზრი გამოთქვა, რომ ადმინისტრაციაში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში და აგრეთვე სკოლებში (იგულისხმებოდა მარტო დაბალი სკოლები, რადგან ერობას იმ დროს მარტო დაბალი საფეხურის სკოლები ექვემდებარებოდა) გარდა სახელმწიფო ენისა, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ოსური ენა (ოსთა წინადადებით კი, საზოგადოთ უცხო ენები, თუმცა ნამდვილათ აქ მარტო რუსული იგულისხმებოდა). სასამართლო დაწესებულებებში კი განზრახულ მაზრის ტერიტორიაზე ენის შესახებ ძალაში უნდა დარჩენილიყო მე-17 მუხლი იმ კანონისა, რომელიც მოქმედებდა მთელს რესპუბლიკაში (იხ. კანონი მოძრიგ. მოსამ. ინსტიტუტისა, გამოც. 1918 წლის სექტ. 24-ს) — „ია უბანში, სადაც რესპუბლიკის მოქალაქეთა უმრავლესობა რომელსავე არაქართველ ერს ეკუთვნის, საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი უნდა ხდებოდეს ქართულსა და უბნის უმრავლესობის ენაზე. ოფიციალურ ტექსტათ ჩაითვლება ქართული ტექსტი“.

დასასრულ, როდესაც კომისია მივიდა მთავარ საკითხთან — ანალ ადმინ. ერთეულის საზღვრების აღნიშვნის საკითხთან, — აქ კომისია ბევრს სიძნელეს, ბევრს სირთულეს შეხვდა, აქ ბევრი რა სადავო აღმოჩნდა.

მართალია, საკითხი თითქო მარტო ადმინისტრაციულ საზღვრების გარკვევას ეხებოდა, მაგრამ, თავის თავად ცხადია, რომ რაც სამაზრო ერთეულის სახით გამოიქრებოდა, ის პოლიტიკური ავტონომიის ტერიტორიის საკითხს საფუძვლათ დაედებოდა; რაც იმ დროს მიეზომებოდა ოსებს მაზრის სახით, ისე იქნებოდა ოსთა ავტონომიურ ხელისუფალთა მოქმედების ასპარეზი. ეს ძალიან კარგად ესმოდა კომისიას და ამიტომაც საკითხს სათანადო სიფრთხილით მოუპყრა.

შინ. საქ. სამინისტროს პროექტით, როგორც ვიცით, ახალი მაზრა შედგებოდა 7 საზოგადოებიდან და 3 სოფლისაგან. ოსთა წარმომადგენელთა პროექტით კი, მაზრაში უნდა შესულიყო 13 სოფლის საზოგადოება, 3 სოფელი და მთელი რიგი მერეულ (ქართველ-ოსთა) საზოგადოებათა ნაწილებისა, განსხვავება, როგორც ხედავთ მეტად დიდია როგორც სივრცით, ისე მოსახლეობის რაოდენობით, ოსები ორჯელ იმაზე მეტს ტერიტორიას ითხოვდნენ, რაც შინ. საქ. სამინისტროს პროექტში იყო.

სათანადო მასალის უქონლობის მიზეზით, კომისიამ ტერიტორიის საკითხის მხოლოდ ორ მხარეზე შეაჩერა თავისი ყურადღება, — ეს იყო ეტნოგრაფიული და სტრატეგიული მხარეები. და მარტო ამ მხარეთა დეტალური განხილვა სრულიად საქაო აღმოჩნდა განსახდგრული დასკვნის გამოტანისათვის.

საკითხის ეტნოგრაფიულმა ანალიზმა შემდეგი ცნობები მისცა კომისიას:

როგორც აღმოჩნდა, ოსთა მოსახლეობაზე სტა-

ტისტიკურ ცნობებს იძლეოდნენ: წარსულში ოსთა ბული ე. წ. კავკასიური სტატისტიკური ცნობები, შემდეგ გამოკვლევა პოლკ. ლიხნოვისა („Военно-стат. описание Тиф. губ. и Закавказья“) და დასასრულ 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა მთელ საქართველოს რესპუბლიკისა. ამ სხვა და სხვა მასალათა შორის პირველი ორი, თუ სიძველისა გამო და თუ იმიტომ, რომ მხოლოდ ზოგად სტატისტიკურებს იძლეოდა, დაყენებული საკითხის გასარკვევად უმნიშვნელო იყო. კომისია იძულებული შეიქმნა უკანასკნელი სასოფლო სამეურნეო აღწერით დაეყრდნობოდა. ეს იყო ერთად-ერთი წყარო, შედარებით ახალი და ვრცელი ცნობების მომცემი, რომლის მიხედვით შეგვეძლოთ, ავთ თუ კარგათ, გაგვევალისწინებიათ სტატისტიკა როგორც მთელი საქართველოსი ისე კერძოდ ოსთა მოსახლეობისა.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, რომელმაც დაიმუშავა 1917 წლის აღწერით შეკრებული მასალა, თავის მოკლე სპეციალურ მოხსენებაში ოსთა მოსახლეობის შესახებ ამბობს ამ მასალის მიხედვით:

ოსთა მოსახლეობის საერთო რიცხვი საქართველოში 1917 წელში უდრიდა 89,253 სულს, რაც დაახლოებით საქართველოს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 3,7% შეადგენს*. ოსთა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გორისა და დუშეთის მაზრებშია დასახლებული.

ჩამოთვლილ მაზრებში ოსთა მოსახლეობა უდრის:

- 1) გორის მაზრაში — 60,495 ანუ — 31,9% ამ მაზრის მცხოვრებთა საერთო რიცხვისას
- 2) დუშეთის მაზრაში — 19,389 ანუ — 29,1% ამ მაზრის მცხოვრებთა საერთო რიცხვისას.
- 3) რაჭის მაზრაში — 3,926 ანუ — 4,7% „
- 4) თიანეთის „ — 1,699 ანუ — 4,2% „
- 5) თელავის „ — 2,346 ანუ — 3,7% „
- 6) ტფილისის „ — 1,662 ანუ — 1,8% „

გარდა გორის და დუშეთის მაზრებისა, კომპაქტური მასა ოსებისა არსად არ არის. ისინი წარმოდგენენ პატარა-პატარა ეტნოგრაფიულ კუნძულებს, ქართველთა მასებში შემორტყმულს, ასე რომ ამ მცირე ჯგუფებზე ლაპარაკიც მეტია. იმათი სახეში მიღება, ცხადია, შეუძლებელია, როდესაც საკითხი ეთნოლოგიის ტერიტორიალური ერთეულის გამოქრას ეხება.

გორისა და დუშეთის მაზრებში კი ოსობა ასე ნაწილდება: 1917 წლის აღწერით გორის მაზრაში ითვლებოდა 38 სოფლის საზოგადოება (იმ

* კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის ცნობებით 1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთში (საქართველოს გარეთ) იყო 58,926 სული, სამხრეთ ოსეთში — 51,988. 1890 წელს კი ჩრდილოეთ ოსთა რაიონში, იმავე კავკ. სტატ. კომიტეტის ცნობებით უდრიდა ოსთა რაიონში, იმავე კავკ. სტატ. კომიტეტის ცნობებით უდრიდა 74,528. ასეთივე პროპორციით რომ ავიღოთ რაოდენობითი ზრდა ოსთა კავკასიაში, საერთო რიცხვი ოსთა მოსახლეობისა 1890 წელს სათვის შეადგენს დაახლოებით 140,090 სულს.

დროს თემები ჯერ კიდევ შემოღებულნი არ იყო). ამ 38 საზოგადოებიდან 27 საზოგადოებაში ვხვდებით ოსებს (დანარჩენ საზოგადოებებში ისინი სრულიად არ არიან), სახელდობრ:

1) ჯავის საზოგადოებაში ოსთა მოსახლეობა უდრის საერთო რიცხვის —	100 ⁰ „
2) ყემულთის „ „ „	100 ⁰ „
3) როკის საზოგადოებაში	99,3 ⁰ „
4) ყორნისის „ „	98,8 ⁰ „
5) ზღუდერის „ „	92,8 ⁰ „
6) წუნარის „ „	92,6 ⁰ „
7) ორტევის „ „	89,5 ⁰ „
8) ბელოთის „ „	69,6 ⁰ „
9) მეჯვრის-ხევის „ „	50,6 ⁰ „
10) ავლევის „ „	45,3 ⁰ „
11) ქვემო-ჭალის „ „	35,4 ⁰ „
12) მეოეთის „ „	30,9 ⁰ „
13) ქარელის „ „	28,2 ⁰ „
14) ბაკურიანის „ „	27 ⁰ „
15) ხიდისთავის „ „	26,8 „
16) ხცისის „ „	25,7 „
17) დირბის „ „	23,2 „
18) თამარაშენის „ „	17,7 „
19) ცხინვალის „ „	17,7 ⁰ „
20) ხელთუბნის „ „	13,5 ⁰ „
21) მოხისის „ „	5,4 ⁰ „
22) ახალქალაქის „ „	3 ⁰ „
23) კასპის „ „	2,4 ⁰ „
24) ახალდაბის „ „	1,1 ⁰ „
25) აღის „ „	1,1 ⁰ „
26) ტყვიავის „ „	0,8 ⁰ „
და 27) დოვისის „ „	0,4 ⁰ „

დღეშეთის მაზრაში იმავე 1917 წლის აღწერით ითვლებოდა 20 სოფლის საზოგადოება. ამ რიცხვიდან 16 საზოგადოებაში (დანარჩენი 4 საზოგადოებაში ოსები სრულიად არ მოიპოვებიან) ოსთა მოსახლეობა ასე ნაწილდება:

1) მონასტრის საზოგადოებაში	96,7 ⁰ „
2) რეხულის „	91,1 ⁰ „
3) ზემო-ხევის „	84,2 ⁰ „
4) მქადის-ჯვრის „	54,2 ⁰ „
5) ახალგორის „	42,3 ⁰ „
6) გორგონის „	33,6 ⁰ „
7) გრემისხევის „	23,2 ⁰ „
8) ზემო მთიულეთის „	17,6 ⁰ „
9) მუხრანის „	14,8 ⁰ „
10) მისაქციელის „	10 ⁰ „
11) საგურამოსი „	6,1 ⁰ „
12) ბაზალეთის „	3,7 ⁰ „
13) ქვემო-ხევის „	2,2 ⁰ „
14) ახანურის „	1,3 ⁰ „
15) წილქნის „	0,7 ⁰ „
და 16) ყვავილის „	0,3 ⁰ „

ამ ორა მაზრის ეტნოგრაფიულ რუქას რომ დავხედოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ოსობა მჭიდროდ არის დასახლებული გორის მაზრის ჩრდილო

ნაწილში, სახელდობრ: ყემულთის, ჯავის, როკის, ყორნისის, ორტევის და ბელოთის საზოგადოებებში, სადაც მათი მოსახლეობა 60% დან 100%-ად აღის. ხოლო გორის მაზრის შუა და სამხრეთი ნაწილი (გარდა ზღუდერის საზოგადოებისა) უკავია უმთავრესად ქართველობას. დღეშეთის მაზრაშიაც ოსებს ჩრდილო და ნაწილობრივ დასავლეთი მხარეები უკავიათ, სახელდობრ: ზემოხევის, მონასტრის და რეხულის საზოგადოებები.

რაც შეეხება სხვა მაზრებში (რაქის, თიანეთის, თელავის და ტფილისის) დასახლებულ ოსებს, იმათი რიცხვი, როგორც ვსთქვით, მეტად უმნიშვნელოა, გარდა იმისა, რომ ჩაწვეთებული არიან პატარა-პატარა ჯგუფებათ ქართველთა მასაში, ასე რომ იმათ სათვალავში ვერ მივიღებთ, რაქის მაზრაში ოსთა მოსახლეობა უდრის 4,7⁰%, ამ მაზრის მთელი მოსახლეობისას, (აქ ერთად ერთი ჩასავლის საზოგადოებაა, სადაც ოსობა 3662 სულია ანუ 100% შეადგენს); თიანეთის მაზრაში—4,2⁰% (ახმეტის საზოგ.—446 სულს, პანკისის—969, ერწოის—288 და სხ.); თელავის მაზრაში—3,7⁰% (ზემო-ხოდაშენი საზ.—1154 სული, ფშაველისაში—802, ძველი გავაზისაში—112 და სხ.); ტფილისის მაზრაში—1,8⁰% (მეაფისის საზ.—581 სული, კონსტანტინოვესკოეში—291, დუმანისაში—480 და სხ.)

ასეთია საერთო სურათი ოსთა მოსახლეობისა საქართველოში 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მოხსენების მიხედვით, რომელმაც, დაიმუშავა რა ამ აღწერის მიერ მიცემული ნედლი მასალა, სათანადო დასკვნებიც გააკეთა.

(შემდეგი იქნება)

უკლავარი მეურნეობისათვის

II

გარდამავალ ხანაში, როცა ძველი ინგრევა და ახალი შენდება, ნებსით თუ უნებლიეთ მართველ პარტიას შეუძლებელია შეცდომა არ მოუვიდეს, მაგრამ როცა ცხოვრება ასე თუ ისე ნორმალურ პირობებში ჩადგება მერე შეცდომებს ნაკლები ალგილი უნდა დაურჩეს; პირიქით შეცდომების გამო-სწორებას უნდა ვეცადოთ—გაკვეთილით ვისარგებლოთ.

დიდის ხალხით და სიამოვნებით წავიკითხე „მოამბის“ მე-17 №-ში დასტამბული „შეცდომის მაგალითები“. იტყვიან „ვინც აკეთებს ის კიდევ ცდებაო“. შეუმცდარი, უცოდველი არავინ არის მაგრამ ვინც თავის შეცდომას მიჩქნალავს ის დიდი შემცდარია. შეცდომების გადასინჯვა, მათი აღწერა სხვა მომავალში გზა და ხიდათ გამოგვადგება. უმთავრესი შეცდომა ჩვენი სამაზრო რევეკომისა თუ სათემოსი ის არის რომ უმეტესობას თავიანთი თავი ცალკე სამთავროთ, სახელმწიფოს გარეშე



კანონმდებლად გამოუცხადებია და როგორც მოესურვებოდა კანონებს ისე ქმნიან — თვით იხაზავენ, ცენტრს არ ეკითხებიან, კანონი კი მხოლოდ მაშინ არის მტკიცე და ურყევი, როცა ის მთელ რესპუბლიკაში ყველას ერთნაირ „მოგვინების“ და როცა ყველას ერთნაირ შეესმინების.

სასოფლო, სახალხო მეურნეობაც სწორეთ ამით იჩაგრება, რადგან მიწათ-მოქმედების კომისარიატის დეკრეტების გარეშე მოქმედებს ზოგიერთი რეგკომი. ძველის უარყოფა მართლა იმას კი არ ნიშნავს, რომ რაც საბჭოთა ხელისუფლებამდე იყო ყველა გავანიავით. თვითმპყრობელობამ დაგვიტოვა მშვენიერად მოვლილ-შენახული სამრეწველო და კულტურული ვენახი, ბაღები და სარდაფები, დავიკოვა სპეციალისტები თავიანთი საქმის იშვიათი მოყვარულები. რა ვუყოთ რომ ისინი წითლები არ არიან, ნუთუ ამისათვის ისინი თავიანთ სპეციალ საქმეს უნდა მოვაშოროთ და საქმე წითლებს მაგრამ საქმის უვიციებს ჩაუგდოთ ხელში. ეს ხომ მოსპობა იქნება საუკუნოებით შექმნილი სახალხო საქმის. უმაღლესი მთავრობა სპეციალისტებს უფრო თხილდება, სანთლით ეძებს სპეცებს, განსაკუთრებულ საპატიო პირობებს უქმნის — ზოგიერთი რეგკომი კი სჩაგრავს.

ქ. ოზურგეთში არსებობს ჩაის პლანტაცია, მას განაგებს ჩაის კულტურის მკოდნე მხენ — მოყვითი ადამიანი. გადარჩალების პირველ დღიდანვე მას აუხირდენ პლანტაციის მოზარმატო მუშები, მუშებს განაოქმადგა სამაზრო რეგკომი და სპეციალისტს მიუჩინეს მაუზირიანი კომისარი — ჩაის დაღვეის მკოდნე.

რამდენი შრომა და ხარჯი დასჭირდა მიწათ-მოქმედების კომისარიატს, რომ კვლავ აღედგინა სპეციალისტის პრესტიჟი და მისთვის ჩამოეშორებინა „ხელმძღვანელი“. ამავე პლანტაციას ყავსა იშვიათი მუშა ხარები, რომლებიც რეგკომის ბრძანებით, სულ სხვა საქმეზე ხედნეს და მით პლანტაციის სამუშაო შეაფერხეს: როგორც გადმომცეს ასევე მოექცნენ ძველ სენაკის სამეურნეო სასწავლებელს. სამეურნეო სასწავლებელს ცხენები იმისათვის კი არ ყავს, რომ ის მილიციონერებმა ხედნონ და ძვალ-ტყავათ აქციონ.

ქართლის ერთ სოფელში ერთ იურისტს ყავს 60 ძირი ფუტკარი. სამართლიანობა და რესპუბლიკის ინტერესი მოითხოვს ასეთ კეთილშობილ კაცს, რომელსაც ქურდ-ავაზაკების დაცვაზე ხელი აუღია, ან კანცელარიებში ჩინოვნიკათ არ შემძვრალა, არამედ პატიოსანი შრომისათვის — კომუნალური ცხოვრების მიმდევარი ფუტკარების მოშენებას შესდგომია, ასეთ კაცს ყოველი მხრივ ხელი უნდა შეუწყოს. ნაცვლად ამისა ამ მშრომელ კაცს ადგილობრივი რეგკომი ეუბნება: ფუტკარები სახალხოა ჩვენ გადმოგვეცია. როცა ამას ის არ ემორჩილება, მას ატუსაღებენ. განთავისუფლების შემდეგ სოფლ.ს რეგკომზე მალლა მდგომი ნაცვლად და მაგობისა კომბინაციას სთავაზობს ((ჩემს ეზოში

დადგი, ვერ შეგეხებიან „ძმობათ“ ვისარგებდნენ) — მე ვიცნობ მეორე მეფუტკარეს, რომელიც ნიკოლოზის დროს, როგორც პოლიტიკურმა „ღამაშავემ“ ციხეში დასწერა მეფუტკრეთათვის სახელმძღვანელო წიგნი. წიგნს ყველა გვერდს უმშვენიბდა პროკურორის შტემბელი „просмотрено-разрешено“, მიუხედავთ ამისა, რომ წიგნი „კრამონიკის“ ნაწარმოები იყო, წიგნის ავტორი ოქროს მენდლით დააჯილდოეს და მაშინდელმა მთავარმართებლის თანაშემწე ვატაციმ ნიშნად მადლობისა ჯილდოს ჩაბარების დროს გადაკოცნა. იგივე მეფუტკრე ფუტკარების ვატაციებით მოყვარული დღეს ინსტრუქტორია, მაგრამ მიუხედავთ იმისა, რომ მის შრომას ხედავს, აფასებს და მფარველობას უწევს სამაზრო რეგკომი, მას მაინც სათანადოთ არ ამუშავებს, ხელსაც უშლის მიწათ-მოქმედების (სამაზრო რასაკირველია) კოლეგიის წევრები ხელობით ხუროები (ამის საბუთს რედაქციას ვუდღვენ).

ყველა ნაწილში შეიძლება შტატის შემცირება, ეკონომიის გაწევა, მაგრამ სახალხო მეურნეობისათვის არაფერი უნდა დაიშუროთ, მაგრამ ეს ასე არ არის — სახალხო მეურნეობის მუშაკები გერებათ ითვლებიან, მათი შტატს გარეშე დატოვებაც შეიძლება და საგზაო ხარჯის არ მიცემაც. ყოველივე ეს ცხადია სახალხო მეურნეობას დასჩაგრავს. ნამდვილი მეურნეები მეურნეობის ნაცვლად სპეკულიანტობას დაიწყებენ.

მეურნეთა კოლეგია სამეურნეო კითხვებში უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მეურნეების მკოდნეთა კოლეგიას.

ძველი მეურნე.

ქალა-უფლებს საბჭოებს

აჯანყებულ პროლეტარიატის რევოლიუციონურმა ძალა-უფლებამ თავდაპირველად სტიქიურად ამოხეთქა საბჭოების სახით, და მიიღო ის ბუნებრივი, თავისუფალი ფორმა, რომლის მიღწევაც მან მიზნად დაისახა ჯერ ისევ 1905 წლის რევოლიუციის დროს. მაგრამ ჯერ ისევ თებერვლის რევოლიუციის თითქმის მეორე დღესვე შეიცვალა 1905 წლის აღთქმულ, მაგრამ განუხორციელებელ რევოლიუციის ფორმა: მუშათა დეპუტატების საბჭოში მძლავრად ჩამოყალიბდნენ აჯანყებულ ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატები და ამნაირად შექმნეს უფრო რთული, მაგრამ მშრომელი ხალხის ნებისყოფის უფრო მძლავრად გამომხატველი ორგანიზაცია: მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. მიუხედავად ამისა, თუმცა საბჭოთა ფორმა უფრო სრული შეიქმნა, თუმცა იგი გამოხატავდა მშრომელი ხალხის ხელისუფლებას, მაგრამ მას არ გამოუკვეთია თავისი კანონმდებლობითი სახე არამედ თავის ნებისყოფას სტიქიურად აქმნიდა.

მშრომელთა ამ თავისთავად და ბუნებრივად წარმოშობილმა ხელისუფლების ფორმამ მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მიიღო თავისი განსაზღვრული გამოხატულება: სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი, რომელშიც განმარტა როგორც არსებითი მნიშვნელობა ამ მსოფლიოში პირველად განხორციელებულ პროლეტარიატის ხელისუფლების ფორმის მნიშვნელობა, აგრედვე მისი მიზანი და არსებობის საშუალებანი.

ამ დეკრეტის თანახმად (№ 27), რომელიც არსებითად წარმოადგენს საბჭოთა კონსტიტუციას, რესპუბლიკაში უმაღლეს ხელისუფლების მატარებელი არის სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა, რომელიც იკრიბება წელიწადში ორჯერ და ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს უმაღლეს ხელისუფლების ორგანოს და საგნებით პასუხისმგებელია ხსენებულ ყრილობათა წინაშე. სახელმწიფო აღმშენებლობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხები შედის პროლეტარიატის ხელისუფლების ამ ორი ორგანოს კომპეტენციაში.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებისაგან სდგება სახალხო კომისართა საბჭო, ე. ი. რესპუბლიკის მთავრობა. რაც შეეხება ადგილობრივ ხელისუფლებას, იგი გადადის იმ დეპუტატთა საბჭოების ხელში, რომელთაც ირჩევენ ადგილობრივი ქალაქები, დაბები და სოფლები. ყრილობები შესდგებიან დეპუტატთა საბჭოებისაგან და მოიწვევიან, როგორც საგუბერნიო ყრილობანი, აგრეთვე სამაზრო, საოლქო და სათემო. თვითეულ ზემოდ დასახლებულ ყრილობას იწვევს თავისი აღმასრულებელი კომიტეტი.

რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების ასეთი კონსტიტუცია არის წარმომშობელი ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ფორმისა.

საბჭოთა ძალა-უფლება საქართველოში წარმოიშვა და განვითარდა სრულიად განსაკუთრებულ პირობებში. თუმცა ფორმალურად საქართველოში მეორედ წარმოიშვა ეს ძალა-უფლების ფორმა, მაგრამ იგი მაინც მეორედ დაგვირგვინდა სრულის გამაჯვებთან, რადგან პირველად მის განვითარებას ხელი შეუშალა ობიექტიურმა პირობებმა და სრულიად დაუკარგა პროლეტარიატის ნების გამოხატველი შანაარსი.

საქართველოს პროლეტარიატმა ნამდვილი რევოლუციონური ხელისუფლება იხილა მხოლოდ თავის მოძვე წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ.

მაგრამ იმ პირობების მგობებით, რომლებშიც ამ ხელისუფლებას შეეძლო აღმოცენება, მისი წარმოშობა სავსებით სხვანაირი იყო. და არც შეიძლებოდა სხვაფრთვ: საქართველოს, რომელიც გარემოცული იყო მოძვე საბჭოთა რესპუბლიკებით, ჯერ კიდევ ვერ ავცილებინა ის წვრილი ბურჟუაზიული ატმოსფერა, რომელიც მას დაუტოვა ძველმა მთავრობამ საბჭოთა მთავრობას, ვიდრე იგი

გადავიდოდა ნამდვილ საბჭოთა კონსტიტუციულ რუმელიც დამყარებულა მუშათა და გლეხთა ძალა უფლებათზე, უდიდესი შრომა დასჯირდა მასსების ხელახლად აღზრდისათვის. აუცილებლობის ძალით ეს ხელისუფლება პირდაპირ გადავიდა საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის ხელში, რომელმაც შექმნა მთელი რიგი რევკომებისა ადგილობრივ ხელისუფლების საწარმოებლად გლენხთა და მუშათა წარმომადგენლების საშუალებით. მაგრამ ამ უამად უკვე შეიცვალა სოციალური სიტუაცია. საბჭოთა მთავრობის უდიდესმა შრომამ ადგილობრივ ორგანოთა დახმარებით, რომელიც მიმართული იყო ძველი ბურჟუაზიული წყობილების ნაშთების აღმოსაფხვრელად და აგრედვე მასების ხელ ახალმა მომზადებამ შექმნეს ისეთი პირობები, რომ საქართველოში საბჭოთა დაარსება სრულიად დროული საკითხია.

გამოჩვევებული ინსტრუქცია ტფილისისა და მის რაიონებში მუშათა და გლეხთა დეპუტატების არჩევნების შესახებ, პირველ აგურსა სდებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების საძირკველში. საქართველოში რევოლუციონური პერიოდი ადგილს უთმობს საბჭოთა ჩამოყალიბების პერიოდს, რომელიც უნდა იყოს მშრომელთა ნების გამოხატველი.

ინსტრუქციის თანახმად ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ რესპუბლიკის ყველა მშრომელთ განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, რელიგიისა, ქვეშევრდომობისა და სხვ რომელთაც არჩევნების დრომდე შეუსრულდებათ 18 წელი.

ამ რიგად პოლიტიკური სიმწიფის მომენტს დეკრეტი განსაზღვრავს 18 წლით.

არჩევნებში მონაწილეობის მიღების აქტიური და პასიური უფლება ენიჭებათ ყველა მშრომელთ— ე. ი. იმათ, ვინც ჩამუშლია წარმოებითი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მუშაობაში.

ამნაირად, საქართველოში პირველად ტარდება ცხოვრებაში მშრომელი კლასის საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლებას მოკლებულია ყველა არა მშრომელი ელემენტი, როგორც მაგ. სხვისი შრომის მიმთვისებელი. ვაჭრები, სასულიერო პირნი, სულით ავადმყოფნი სასამართლოს მიერ დასჯილი და სხ. საარჩევნო ნორმა განსაზღვრულია შემდგენიარად: ყოველი 150—200 ამომრჩეველი ჰკავანის ერთ დეპუტატს, ხოლო ყოველმა—200 ამომრჩეველზედ კიდევ ერთი დეპუტატი უნდა აირჩიოს.

საარჩევნო სისტემა ძლიერ მარტივია. დეპუტატთა არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებაზე, მოსამსახურეთა და მუშათა სათანადო საშახურის დარგის მიხედვით, ხოლო ჯარისკაცები არჩევნებს ახდენენ სამხედრო ერთეულებში.

არჩევნებს ხელმძღვანელობს ცენტრალური

საარჩევნო კომისია, რომელიც შესდგება შვიდი პირისაგან და აგრედვე სარაიონო, საგარნიზონო, ბრიგადის და სხვ. საარჩევნო კომისიები, რომელიც ხელმძღვანელობას უწყვეტ არჩევნებს თავიანთ დარგებში. ამ კომისიებს ეკისრებათ მთელი საარჩევნო მუშაობა.

არჩევნებს ესწრება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ერთი წევრი, არჩევნები სწარმოებს ამერიკულის სისტემით — საჯაროდ, ახდილად, უბრალო ხელის აწევით. არჩევნების შედეგების შესახებ უნდა შესდგეს ოქმი სათანადო ხელის მოწერით.

საარჩევნო კრება კანონიერად ითვლება თუ მას დაესწრო საერთო ამომრჩეველთა ორი მესამედი. იმ შემთხვევაში, თუ პირველ კრებაზე ქვორუმი არ შესდგა, ინიშნება კრება მეორედ და კანონიერად ითვლება, რამდენი ამომრჩეველიც არ უნდა დაესწროს.

აი, ეს არის მოკლედ გადმოცემული სისტემა ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოთა არჩევნების შესახებ. ამიერიდან ტფილისის მშრომელ კლასს ეყოლება ხელისუფლების საკუთარი ორგანო, რომელიც ნათლად და პირდაპირ გამოძახაველი იქნება მისი ნებისყოფისა.

ტფილისის საბჭოს შექმნით იწყება ახალი ერა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრებაში.

ლ. სარაჯიშვილი:

სამაზრო და საქალაქო რევოლუციის თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების ყრილობა მოწვეულ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინიციატივით. პირველად განზრახული იყო თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების ყრილობის მოწვევა ცალ-ცალკე, შექდევ კი იმ მიზნების მიხედვით, რომლებიც დასახული იყო ყრილობისათვის, უფრო მიზანშეწონილად იქმნა ცნობილი ყრილობის გაერთიანება, რამაც გამოიწვია ყრილობის მოწვევის დროის გადადება. აღნიშნული მიზნები კი შემდეგი იყო: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, როგორც უახლოესმა ხელმძღვანელმა და მეთვალყურემ სამაზრო რევოლუციის მუშაობისა, კომისარიატის მოღვაწეობის დასაწყისიდანვე შენიშნა, რომ ყველა სამაზრო რევოლუციის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ მოქმედებს, თანახმად საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ გეზისა, რომ ბევრ მათ-

განს აკლია სწორი გაგება საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტებისა, ბრძანებებისა და სხვ. ადგილობრივ ხელისუფლების შემადგენელთაგან — სამაზრო რევოლუციის ხელმძღვანელობის აღნიშნული გეზის, აგრეთვე მთავრობის დეკრეტების და სხვ. სახელმძღვანელო პრინციპების განსამარტავად საუკეთესო საშუალებათ იქმნა ცნობილი სამაზრო რევოლუციის ხელმძღვანელობა ყრილობა. გარდა ამისა, საბჭოთა საქართველოს განვლილი მთვის მუშაობა დიდ მასალას იძლეოდა დაკვირვებისა და სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლად. ეს მასალა უპირველესად ყოვლისა, რასაკვირველია, თვით ადგილობრივ მოქმედ ძალებს მოვზოვებოდათ და ამ მასალის ურთერთისათვის და აგრეთვე ცენტრისათვის გაცნობა საუკეთესოდ შეიძლება ყრილობაზე, სადაც ყოველმა მოხსენებამ ადგილებიდან მრავალი შეკითხვა და დანჯი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, ამას ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ ყრილობაზე შესაძლებელი შეიქმნა ყველა მაზრის შესახებ მოხსენების მოხმენა და მათზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროსაც, ეჭვი არ არის, ადგილობრივი ძალები უახლოესად ეცნობოდნენ ურთ-ერთის მუშაობის ყოველივე ღირსებას და ნაკლს. ყოველივე ეს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, როდესაც მან განიზრახა ყრილობის მოწვევა.

ყოველივე ამას, დაერთო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომლის ძალითაც, გარდა შინაგან საქმეთა კომისარიატისა უმთავრეს სამეურნეო ხასიათის კომისარიატებს დაევალიათ ყრილობისათვის მოხსენებების წარდგენა. აქ, რასაკვირველია, გარდა ჩვეულებრივი მიზნისა, რომ ყრილობისათვის ცენტრს განემატა თვისი უახლოესი სამოქმედო გეგმა, მხედველობაში მისაღებია საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღიარებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმარტებაც. როგორც ვიცით ახალი ეკონომიური პოლიტიკა დიდ აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევს პარტიულ წრეებში და ასეთ დროს პროვინციულ ამხანაგებისათვის ამ პოლიტიკის მთავრობის ხელმძღვანელ წრეების მიერ გარკვევას, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ესეც არ იყოს პროვინციულ ამხანაგებისათვის, რომელნიც უმთავრესი გამტარებელნი არიან ახალი ეკონომიური პოლიტიკისა ადგილობრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალურ კომისარიატებში სათანადო შემუშავებულ პრაქტიკულ ნაბიჯების გარკვევა-გაცნობას. სამეურნეო ხასიათის კომისარიატების მოხსენებებშიც უდიდესი ყურადღება ექცეოდა ამ მხარეს, რასაც აგრეთვე ფართო ყურადღება მიექცა ყრილობის დელეგატების სიტყვებშიც.

აი უმთავრესად ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია საბჭოთა საქართველოს სამაზრო რევოლ-

*) ყრილობის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში ცალკე წიგნად დაიბეჭდება, ჟურნალში კი მოთავსებული იქნება ყრილობის მოკლე ანგარიში.

მების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების შეერთებული ყრილობის მოწვევა, რომელსაც დაესწრენ საქართველოს ყველა სამზრო რევკომების წარმომადგენელი, გარდა ზემო-სვანეთის მაზრისა. ყრილობაზე პირველ დღესვე, 21 ნოემბერს, გამოცხადდა 30 დელეგატი, წარმომადგენელი შემდეგი მაზრებისა: 1. ტფილისისა—თავმჯდომარე ამხ. მეგრელიაშვილი და მესხი, ბორჩალოსი—თავმჯ. ამხ. გვინცაძე, სიღნაღისა—თავმჯდ. ამხ. თათვი-შვილი და ჩხნაშვილი, თელავისა—თავმჯდ. ამხ. ცინცაბაძე და ქურციკაშვილი, თიანეთის—თავმჯდ. ამხ. სურგულაძე, დუშეთის—თავმჯდ. ამხ. ვარა-მაშვილი და თოფჩიშვილი, გორის—თავმჯდ. ამხ. მათიკაშვილი და ვაბუნია, სამარეთ-ოსეთის—თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. ზაკაძინი, ახალ-ქალაქის—თავმჯდ. ამხ. შოგირაძე და ჩხიკვაძე, ახალციხის—თავმჯდ.—ამხ. მალრადე ქუთაისის—თავმჯდ. ამხ. ლორთქიფანიძე, შორაპნის—თავ-მჯდომარის მოადგილე ამხ. ბუაჩიძე, რაჭის—თავ-მჯდ. ამხ. წულუკიძე და ენუქიძე, ლეჩხუმის თავ-მჯდ. ამხ. ქაჯაია და ფრუიძე, ზუგდიდის—თავმჯდ. ამხ. ქავთარაძე და ბერია, ახალ—სენაკის—თავ-მჯდ. ამხ. მამულია და ლომია, ქ. ფოთის—თავმჯდ. ამხ. გოგია და მიმინოშვილი და ოზურგეთის—თავმჯდ. ამხ. დოლიძე და გურგენიძე.

ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ მოვიყვანთ მოკლე ანგარიშს.

ყრილობის 1-ლი სხდომა გაიხსნა სასახლის თეთრ დარბაზში საქართველოს რევკომის თავმჯო-მარეობათ 21 ამა ნოემბერს საღამოს 6 ს. 50 წუთზე.

პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარემ ამხ. ბუღუ მდივანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა სამხედრო ფრო-ნტებზე და საუკეთესოდ მოიგერია შემოსეული მტერი და რომ ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას მეროე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი — შინაური ცხოვრების მოწესრიგება და საბ-ჭოთა აღმშენებლობითი მუშაობის გაცხოველება. ორატორმა მოუწოდა კრებას უდიდესი ყურად-ღება მიექცია პრაქტიკულ საკითხებისათვის, რათა მშრომელმა ხალხმა ცხადთ დაინახოს და იგრძნოს. რომ ეს ხელისუფლება მათი სურვილების გამო-ხატველი არის და მოუწოდა ყრილობას გამოე-ნახა საჭირო ზომები პრაქტიკული საქმიანობის გასაცხოველებლად.

მეორე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა წითელი ლაშქრის და რ. კომპარტიის კავბიუროს სახელით ამხ. შ. ელიავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველო და სომხეთი ამ ხნობით მოკ-ლებული არიან საბჭოთა სისტემისამებრ ჩამოყა-ლიბებულ ფორმას და მოუწოდა ყრილობას, რათა პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, მან უდიდესი ყურადღება მიექციოს საქართველოს ხელისუფლე-ბის საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად გარდაქ-

მნას და ისეთ ფორმების შექმნას, როგორც არის დღევანდელ რუსეთში.

შემდეგ სიტყვით მიმართა ყრილობას საქა-თველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მამია ორახელაშვილმა. ორატორმა ხაზი გაუსვა სააღმშენებლო მუშაობის არსებულ ობიექტიურ პირობებს და სთხოვა ყრი-ლობას, რათა მან „აშკარა კრიტიკის ნესტარი ჩასცეს იმ მტკივან და დაჩირქებული ადგილებს, რომლებიც ბლომად არის საბჭოთა მუშაობაში“. ამასთანავე ამხ. ორახელაშვილმა აღნიშნა, რომ ყრილობის მოვალეობაა მიუთითოს პარტიას და რევოლიუციონურ მთავრობას საჭირო ზომებზე და დასასრულ ცენტრალური კომიტეტის სახელით ნაყოფიერი მუშაობა უსურვა ყრილობას.

ბოლოს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ყრილობას რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელით ამხ. ლეგრანმა და საქართველოს პროფკავშირე-ბის ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელმა ამხ-ოდილავაძემ, რომლითაც დასრულდა ყრილობის პირველი სხდომა. ყოველ ორატორის სიტყვის შემდეგ სრულდებოდა ინტერნაციონალი.

მე-2 სხდომა

(22 ნოემბერს დილით)

თავმჯდომარეობს ამხ. ბუღუ მდივანი. *)

მცირე კამათის შემდეგ, რომელიც გამოიწვია რეგლამენტის შემუშავებამ და დამტკიცებამ მოხ-სენებისთვის სიტყვა მიეცა ამხ. სერ. ქავთარაძეს მოხსენების თემა ეხებოდა საერთაშორისო მდგო-მარეობას და საბჭოთა ხელისუფლების მიზნებს.

მომხსენებელი პირველად ყოვლისა შეეხო ევ-როპიული ომის გათავების ხანას, როდესაც საერ-თაშორისო ბურჟუაზია თვისი არსებობის უსუს-ტეს პერიოდს განიცდიდა. ამ დროს რომ საერთა-შორისო პროლეტარიატს შეერთებული ძალებით იერიში მიეტანა ბურჟუაზიაზე, ეჭვი არ არის, იგი ძლევული იქნებოდა. მაგრამ ეს მომენტი გაშვებულ იქმნა, სხვა და სხვა მიზეზების გამო, რომელიც აღნიშნული იყო მოხსენებაში და შემდეგ-კი ბუ-რჟუაზიამ ძალა შემოიკრიბა და გადავიდა თავდას-ხმის პოლიტიკის წარმოებაზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. მომხსენებელმა მრავალი მაგალითით დაასურათა ეს დებულება (ხელფასის შემცირება, ფაშისტების ორგანიზაცია იტალიაში, ამგვარივე ორგანიზაციების შექმნა ამერიკაში და სხვ.) და აღნიშნა ის მთავარი მიზეზები, რომლის გარშემო

*) მთავარ მომხსენებლებს ე. ი. სახალხო კომის-რებს მოხსენებებისთვის განუაზღვრელი დრო მიეცათ. გარდა ამისა, ყრილობამ საჭ როდ დაინახა, რომ ჯერ მოესმინა ყველა მოხსენება სახალხო კომისრებასა და მხოლოდ შემდეგ გაეხსნათ კამ თი საერთოდ ყველა მ-ხ-სენების შესახებ. მიუხედავად ამისა ჩვენს ანგარიშში ჩვენ ყოველი მოხსენებების შ სახებ მოხსენებასთან ერ-თად მოვიყვანთ კამათსაც და რეზოლიუციებსაც, რად-განაც ფაქტიურად კამათი ყოველი მოხსენების შესახებ ცალ-ცალკე სწარმოებდა.

ტრიალებს დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკა. გარდა უკვე აღნიშნულ უკიდურესად გამწვანებულ მოწინააღმდეგე კლასთა დამოკიდებულებისა, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ომის მიზეზებით გამოწვეული ევროპის ეკონომიური განადგურება და ეკონომიური რეგრესი ევროპის უდიდეს სახელმწიფოთა, რომლის შეჩერება არავითარ ძალას აღარ შეუძლია. მესამე ფაქტორად ჩაითვლება ბუმბერაზ საბჭოთა რუსეთის არსებობა, რომლის განადგურებისათვის მოწადინებულია საერთაშორისო ბურჟუაზია, მაგრამ ყოველივე ცდამ ამ მხრივ უნაყოფოდ ჩაიარა და მეორეს მხრივ საკუთარი ეკონომიური მდგომარეობა უაღრესად მოითხოვს ევროპის ბურჟუაზიისაგან ეკონომიურ კავშირის აღდგენას საბჭოთა რუსეთთან.

მომხსენებელმა მრავალი სტატისტიკური ცნობები მოიყვანა დასავლეთ ევროპის ეკონომიურ დაქვეითებისა, რასაც შესამჩნევად შეუწყო ხელი ვერსალის ხელშეკრულებამ, რომელმაც ეკონომიურად უაღრესად დასცა მდიდარი გერმანია და თან ინტერესთა ისეთი წინააღმდეგობა შეჰქმნა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის, რომ ახალი ომის გარეშე სრულიად შეუძლებლად მიიჩნია არსებულ კვანძის გახსნა.

შემდეგ ამისა მომხსენებელი შეეხო უმთავრეს ბურჟუაზიული სახელმწიფოთა მდგომარეობას და მათ შორის პირველად ყოვლისა ამერიკას. ომის მიზეზებით ამერიკა უჩვეულად გამდიდრდა, მისთვის აუცილებელი შეიქმნა ფართო ბაზრის შოვნა, როგორც იმ ურიცხვ ფაბრიკების გასასაღებლად, რომელიც დაგროვდა მის საწყობებში, ისე აგრარულ ნაწარმოებთა გასაქანდაც. აქვე აღნიშნული იყო უმუშევართა საკითხის უკიდურესი გამწვავება ამერიკაში და საყოველთაოდაც, რაც აგრეთვე შედეგია აშლილი ეკონომიურ მდგომარეობისა. ეს ფაქტორი იწვევს სახელმწიფოთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობას და განსაკუთრებით ამერიკა-იაპონიის შორის, რადგან ერთიც და მეორეც სცდილობს ჩინეთის ბაზრის ხელში ჩაგდებას.

აქვე შეეხო მომხსენებელი ინგლისის გავლენის ძლიერ შესუსტებას საერთაშორისო მასშტაბით, რაც ერთის მხრით ვერსალის ხელშეკრულებით ახსნა, რომელიც არა ჩვეულებრივ ხელსაყრელი გამოდგა საფრანგეთისათვის. მან მიიღო უდიდესი ნაწილი გერმანიის კონტრიბუციისა ყოველ მხრივ და აგრეთვე მის პოლიტიკას დაექვემდებარა შუა ევროპის სახელმწიფოები (ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი) და ამგვარად იგი თითქმის ჰეგემონი გახდა ევროპის კონტინენტზე, სადაც დიდ სახელმწიფოთა რიცხვიდან ვერსალის ხელშეკრულებამ ამოშალა გერმანია, ერთად ერთი შესაძლო მოწინააღმდეგე საფრანგეთისა. მეორეს მხრით ინგლისის დაუძლიერება გამოწვეულია კოლონიების ფაქტიური თავისუფლებით, (კანადა, ავსტრალია, სამხრეთ-აფრიკა და სხვა) რომელიც მათ ომის

პროცესში მოიპოვეს, როდესაც ინგლისმა ომის საკითხში ხმა მიანიჭა და როდესაც ძალზე განაწილდა თვისი მრეწველობა. ამ მიზეზებით ინგლისის მეტროპოლია კოლონიების მძლავრ ბატონ-პატრონად აღარ შეიძლება ჩაითვალოს. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ინგლისის საერთაშორისო მნიშვნელობის დაკარგვისათვის ამერიკის სამხედრო ფლოტის სიძლიერეს, რომელმაც შეერთებული ინგლის-იაპონიის ფლოტსაც-კი გაუსწრო და რომელმაც ერთგვარი შესაძლებლობა შეჰქმნა ამერიკა-საფრანგეთის დაახლოებისა, რადგანაც მოსალოდნელია, რომ საფრანგეთი დაუთმობს ამერიკას ფლოტის სამხედრო ბაზებს დედამიწის ყოველ კუთხეში და ისიც ისეთ ადგილებში, რომელიც ძლიერ მეტოქეობას გაუწევს ინგლისს. ამ გარემოებამ საშინელი პანიკა შეჰქმნა ინგლისის წრეებში, რომელმაც საფრანგეთს დახმარება აღუთქვა ვაშინგტონის კონფერენციაზე რუსეთის საკითხში, რისთვისაც ერთხელ მიღებულ სავაჭრო პოლიტიკაზედაც-კი უარი ათქმევინა ინგლისს რუსეთთან დამოკიდებულებაში (კერზონის ყალბ საბუთებზე დამყარებული ნოტა და ამხ. რადეკის პასუხი, რომელიც შედეგია ძველ გამობრძმედილ ინგლისის დიპლომატიის დამარცხებისა).

ამასთანავე მომხსენებელი შეეხო ამერიკის უკანასკნელ ცდას თვისი ჰეგემონიის განსამტკიცებლად დედა მიწის ზურგზე-ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევას, რასაც მიზნად აქვს საყოველთაო განიარაღების მოწყობა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად დასახულ მიზნისა კონფერენცია რეალურ შედეგს ვერ მიაღწევს, პირობით იგი უფრო ნათლად გამოამჟღავნებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ინტერესთა წინააღმდეგობას.

მომხსენებელი უმთავრესად საერთაშორისო მდგომარეობას ეხებოდა, ხოლო საბჭოთა რუსეთის მოღვაწეობიდან აღნიშნა ერთი უმთავრესი მომენტი, რუსეთის-მიერ ევროპის სახელმწიფოთა ვალეების ცნობა და უწოდა მას ჰენიალური ნაბიჯი მოსკოვის დიპლომატიისა, რადგანაც მით უდიდესი ზიანი მიაყენა მოსკოვმა საფრანგეთ-ინგლისის შესაძლებელ შეთანხმებულ გამოსვლას ვაშინგტონის კონფერენციაზე (ინგლისი ჰპირდებოდა საფრანგეთს დახმარებას რუსეთის საკითხში, ახლა თვით რუსეთმა იცნო ვალეები და მაშასადამე ნიადაგი ეკარგება ამ შესაძლებლობას). საზოგადოთ რუსეთის-მიერ ვალეების ცნობამ უდიდესი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის დიპლომატიაში და კიდევ უფრო გამწვავა სახელმწიფოთა შორის არსებული მდგომარეობა, რომელიც ჩქარი ტემპით მიაქანებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ახალი საერთაშორისო ომისაკენ. გარდა ამისა ამავე ნოტის წყალობით ახალი თახამგრძნობლები ემატება საბჭოთა რუსეთს, რადგანაც ვალეების ცნობა სასარგებლო შთაბეჭდილებას ახდენს საფრანგეთის მრავალრიცხოვან წვრილ ბურჟუაზიაზე.

მომხსენება მეტად საინტერესოდ იყო შედეგ-

ნილი, დიდძალ მასალას ვააცნო ყრილობა და განუშარტა მას რუსეთის და საზოგადოთ, საბჭოთა სახელმწიფოების საერთაშორისო მდგომარეობა, რის დასახასიათებლად მოვიყვანთ მოხსენების დასკვნას, სტენოგრაფიული ანგარიშით:

„ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თითქოს ახალი თავდასხმა არ შეიძლება განიზრახოს ვინმემ, მაგრამ რუსეთის მდგომარეობა დღეს მალა სდგას. ანტანტის დიპლომატიებმა, რომ ბრძოლა წააგეს, ეს აშკარაა და პროლეტარულ რევოლუციის მოძრაობის ზრდა აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური ფორმა განვითარდა, ეს წესი წარმოებისა აუცილებლად უნდა დაინგრეს, დაიშალოს. მიუხედავად ამ ობიექტიურ მდგომარეობისა, ეს პოლიტიკა ჰქმნის ისეთ პირობებს, რომ წვრილი ბურჟუაზია საფრანგეთისა და ამერიკისა გადადის პროლეტარიატის ბანაკში, ამაგრებს მას, ემატება პროლეტარიატის მოძრაობას. ეს გენიალური აზრია, გენიალური პოლიტიკაა. ამას მე გადაჭრით მოგახსენებთ. ამ პოლიტიკას დღესაც ვერ გვებულობს კერზონი და ჩერ-

ხილი. ეს ის ახალი პოლიტიკაა, რომელზედაც ლაპარაკობს ყველა და რომლის ავტორიც ლენინია. ეს ახის სწორეთ გენიალური პოლიტიკაა. ემიტომ რომ ეხლა მოპირდაპირეზე შტურმით წახსულა არ შეიძლება, საჭიროა ალყა მოფიქრებული. ეს ისეთი უბრალო და მარტივი აზრია მთელი პროლეტარიატის მასისათვის და ის ვინც ლაპარაკობს, რომ ეს დათმობააო, ეს ან გაუგებრობით აიხსენება ან ავადმყოფური გრძნობით. ობიექტიურმა მოაზროვნებმა ნახეს, რომ ეს პოლიტიკა არის ერთადერთი გზა შტურმის მზადებისათვის, ამიტომ მე ვლაპარაკობ, რომ ეს ნაბიჯი პირდაპირ გენიოსური ნაბიჯია. მე აქ ვათავებ ჩემს სიტყვას. ჩემი მოხსენება სრული არ იყო. ბევრი საინტერესო ფაქტი დამჩნა, რადგანაც ვერ ვასწრებ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მთელი საერთაშორისო მდგომარეობის ურთიერთობის სურათი გადმოგეცით ისე, როგორც ამას გვიკარნახებს ობიექტიური და პოლიტიკური თვალთა-ხედვის ისარი.“ (ტაში)

მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად და ყრილობა გადავიდა მორიგ საქითხებზე.

მ ა ზ რ ი ს რ ე ვ კ ო მ ე ბ უ ი .

სექტემბრის მოხსენებაში, რომელიც წარმოდგენილი იქნა 10 სექტემბრის ყრილობისათვის, ნახვასით არის აღნიშნული ის გარემოება, რომ ხელისუფლების ორგანოს თანამშრომელთა რიცხვი ძალიან გაბერილია და მას შემცირება ეჭირვება. შემდეგ მიქცეულია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ მაზრის რევკომის და საერთოდ ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურა ძალიან რთულია და ესაჭიროება გამარტივება. მაგალითად სიღნაღის მაზრის სოფლის რევკომთა თავმჯდომარეების ა. წ. 22 მაისის ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო 40 თავმჯდომარე და 29 კომიანჩეიკის მდივანი. მოსმენილ იქნა სხვათაშორის მოხსენებები ადგილებიდან და გამოიჩინა, რომ: ველიციხის რევკომი შესდგება პარტიული ამანაგებისაგან: რევკომს აუშენებია თეატრი, ენერგიული დახმარებას უწყევს დათესვის კამპანის და გაუშართავთ მოსახლურეთათვის სასადილო. სურსათის მორიგ კრიზისია. რევკომი შესდგომია ველისციხის ხეობის გაკეთებასაც, მაგრამ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ცენტრიდან დახმარება ტენიკური და სხ. ძალების მიმველება.

ახალშენის რევკომი შესდგა 26 თებერვალს. შეკეთებულ იქნა სკოლა, დაარსდა სამკითხველო, შეძლებისადაგვარად შეკეთდა გზებიც, დამთავი კამპანის საშუალებით დაითესა 30 დესეტინა. ამ კამპანის ცოტათი ხელი შეუშალა უაპახლობამ და ამის გამო ბევრი მიწა დარჩა დაუძუშავებელი.


ჩუმლაყის რევკომი დამთეს კამპანიაში იღე-

ბდა მონაწილეობას და დაითესა 60 დესეტინა სიმინდი და ხორბალი. ხალხი გაჭირვებას განიცდის შაბიაშან-გოგირდის და პირველ მოთხოვნების საგნების უქონლობის გამო. მობილიზაცია კარვად ჩატარდა.

გურჯაანის რევკომი პირველად არ იყო საიმედო პირობისაგან შემდგარი. ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედებას და დამნაშავენი დაპატიმრებულ იქნენ. საერთო გასაჭირი აქაც ისეთივეა, როგორც სხვა თემებში. უაპახლობამ დამთეს კამპანის ხელი შეუშალა. არის სამკითხველო, მაგრამ გაზეთების სისტემატიურად არ მისდისთ.

ვეჯინის რევკომი შეთანხმებით მუშაობს პარტიულ ორგანიზაციასთან. იმართება ყოველკვირეული კრებები. პირველ მაისის დღესასწაულმა კარვად ჩაიარა. მოეწყო შაბათობაც: შეკეთდა სასოფლო გზები, ჯარში გაწვეულთა ოჯახებს გაეწია დახმარება; ჯარს მიაწოდეს 50 ფუთი ფქვილი. მოხნულ იქნა 40 დესეტინა. დარიგდა სათესლე კარტოფილი და ლობიო. არის სამკითხველო. გაჭირვებული რაიონში ბევრია და მათი სოციალური დახმარება საჭირო. შაბიაშანის და გოგირდის ნაკლულობაა.

კოლაკის და ბაკურციხის რაიონში განსხვავებული პირობები არ ყოფილა. მუშაობა ისეთივეა, როგორც ზევით დასახელებულ თემებში. საერთო ნაკლებობაა პირველ მოთხოვნების სურსათ საწოვადისა. ჯარია ცაენებმა ბევრს გაუფუქნათესი.



კარდანახში უკანასკნელ დროს თავი იჩინა ქურდობამ. აქაც შაბიამან ხორბლის ნაკლებობაა, რითაც სარგებლობენ სპეკულიანტები, რომელთაც ხორბალზე გადასაცვლელად მოაქვთ შაბიამანი. არსებობს ერთი სამკითხველო. პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა ნაკლებია. ანაგაშიც იგივე მდგომარეობაა. დაითესა კომპანიის საშუალებით 9 ღესეტიანა მიწა. წისქვილებზე შეწერილი გადასახადით კმაყოფილდება მოსამსახურეთა მოთხოვნილება.

ალაზან ვალმა რაიონში სიწყნარება, მხოლოდ ხალხს აწუხებს გადამეტებული ბეგარა. დღეში სულ უკანასკნელი თითო სოფლიდან ვაჰყავთ 4-5 ჟრემი და ცხენი. არაა სასურველ ნიადაგზე დაყენებული საქონლის გაცვლა გამოცვლა. დაუთესადი ადგილი თითქმის არ დაჩენილა. მიხანილოვკის რაიონის მდგომარეობაც ანალოგიურია.

გიორგეთის, რაიონში ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაშია. საქიროა დახმარება ყოველ მხრივ. ვარდის უბნის რაიონი დიდ შეიწროვებას განიცდის საზღვარზე მდებარე ლეკების სოფლების მხრივ საქონლის გატაცებით, საქიროა მილიციის გაძლიერება. კაკაბეთში ახალი რეგკომი იქნა არჩეული და საქმიანობაც დაეტყო. დამთესი კომპანია თითქმის არ ყოფილა. სათესლე არ განაწილებულა ღარიბებს შორის. მობილიზაციამ წესიერად ჩაიარა, თუმცა დეზერტირობასაც ადგილი აქვს. საერთო მდგომარეობა კარგია.

არა შენვას, ჯიმითის, ყანდაურის, ჩაილურის, იორმულანლოს, მელაანის, ჩალაუბნის, ახალი დმიტრიევკას, ბოდბეს, ქვემო მიჩხანის და ვაჭირის რაიონებში მდგომარეობა არ განიჩნევა ზევით ჩამოთვლილი რაიონების მდგომარეობიდან. უამინდობამ ზოგან თესვის კომპანიას ხელი შეუშალა, მოსამსახურენი ცულ პირობებში არიან, შკოლების ნაკლებობაა, ინტელიგენტური ძალების სიმცირეა. ავაზაკობის წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები და მათი რიცხვი შემცირდა. მობილიზაცია გატარდა ყველგან. ადგილი ჰქონდა დეზერტირობას. ნაკლებობა შაბიამანის და გოგირდის საგრძნობი იყო.

კვლემჩურის რაიონი ძალიან დიდი რაიონია. ეკონომიურის მხრივ აქაც სივიწროეა. მილიცია დროზე ვერ ღებულობს ჯამაგირს. 46 ფუთი სათესლე კარტოფილი დაარბა რეგკომმა. ბევრია ისეთი, რომელიც საქიროებს სოციალურ დახმარებას. ამ რაიონში იყვნენ ლტოლვილები და მათ რეგკომმა ორორი ფუთი ფქვილით დახმარება აღმოუჩინა. არ მოიპოვება სამეურნეო იარაღები, რაც ძალიან უშლის ხელს მუშაობას. ღარიბ მცხოვრებლებმა მოხნეს 33 ღესეტიანა.

შირაქის რაიონის მდგომარეობა დიდათ არ განიჩნევა სხვებისაგან. აქ დაარსებულია ბიბლიოთეკა, აღსანიშნავია შკოლების სიმცირე. არაა მოწესრიგებული ლტოლვილთა საქმეები, ცუდია ფოს-

ტა და მიმოსვლის საშუალება. დამთესმა კომისიამ შეიძინა 800 ფუთი თესლი, უმთავრესად ქურდობის ფილი და განაწილა ღარიბ მცხოვრებელთა შორის. დაიხნა და დაითესა წითელ არმიელთა ოჯახის მიწები სულ 200 ღესეტიანა. ქურდობა-ყაჩაღობას ადგილი არ ჰქონია.

ყრილობაზე გამოირკვა რომ არ დაჩენილა არც ერთი სოფელი, სადაც არ იყოს მოწყობილი დამთესი კომისია, გარდა იორ მულანოსი. შაბიამანის შესახებ დროზე მიუღიათ ზომები ადგილობრივ ორგანოებს, მაგრამ ცენტრიდან ვერ მოესწრო თავის დროზე. ჯანმრთელობის მხრივ მიღებული ყოფილა საქირო ზომები: ჯფასო წამლობა, აფთიაქების ნაციონალიზაცია და სხ.

ა. შ. 20 სექტემბრის ყრილობის ოქმებიდან სჩანს, რომ მაზრის რეგკომის გადახალისების შემდეგ, საქმიანობას სხვა ხასიათი მიეცა. ძველ სისტემით სარდლის მაზრა დაყოფილი იყო 47 სოფლის რეგკომად. ახლა კი მათი რიცხვი შემცირდა 30-დ. რეგკომის განყოფილებათა გამგეების თათბირზე გამოჩვეულა, რომ ადგილი ჰქონია მუშაობაში გულგრილობას, რომლის გამოსასწორებლად მიღებულია სათანადო ზომები. რეგკომს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კახეთის რკინის გზისა და კერძოთ ჩაუბნის უფელტების მდგომარეობისათვის.

გზების შეკეთება შრომის ბეგრის საშუალებით. მოხსენებები ადგილებიდან უკვე ზოგიერთ დარგში, სხვა სურათს შლიან მაზრის ცხოვრებიდან. ეკონომიური გაჭირვება, ნაკლებობა პირველ მოთხოვნილებების საგნების, სექტემბერშიც საერთოდ ისეთი იყო, როგორც იყო უწინ.

ნუჭრიანის რაიონში გაკეთდა ისეთი გზა, რომელიც არც ძველი რეგკომის დროს იყო გაკეთებული: ქურდობას ადგილი არა აქვს, რადგან მილიცია სათანადო სიმძლევზე სდგას.

კაკაბეთში შეკეთდა შკოლის შენობა, ყანდაურაში მიღებულია ყოველი ღონისძიება შკოლის შენობის შესაკეთებლად, მაგრამ წყარო არაა. სოფლის გზები, შეკეთდა. ყაჩაღობას ადგილი არა აქვს. სასანიტარო გადასახადი მოგროვდა. კაჭრეთის რაიონშიც გზები შეკეთდა; ქურდობა არაა. მიღებულია ზომები ზამთრისათვის შემის დასამზადებლად, მოსაღალი ცუდი იყო. გურჯაანში რეგკომი ცდილობდა მცხოვრებთა დახმარებას მეურნეობის დარგში. იყო შემთხვევა, როცა მილიციის უფროსი, მილიციონერებით ყაჩაღად გავარდა. მთელი რაიონი დაისეტყვა და განადგურა გენახები. რეგკომთან დაარსდა კომუნალური განყოფილება, რომელიც ცდილობს შემის დამზადებას და შკოლების შეკეთებას.

გელისციხეში აშენდა თეატრი, არის სკოლები, თუმცა რემონტი ესაჭიროება შენობებს — წყარო არაა. შემის დამზადება შეფერხდა, რადგან სათანადო ნებართვა არ ჰქონდა რეგკომს. ქურდობას აქვს ადგილი და მიღებულია საწინააღმდეგო ზომები. დაარსებულია რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, უკვე გაიმართა რამდენიმე წარ-

მოდგენა. სკოლის გზის ლიანდაგის შესაკეთებლად გაყვანილია მუშები. **ბაჟრცხის რაიონში** იყო რამდენიმე პირი არა სასურველად განწყობილი, მაგრამ მათ წინააღმდეგ მიღებული იქნა საჭირო ზომები, რკინის გზის შესაკეთებლად. გაყვანილია მუშები. არის კარგად მოწყობილი სასაკლოო. გზები კარგია, მაგრამ ხშირად ათუჭებს ნიაღვარი. **მოლდოვაში** ძლიერი ნაკლიობაა კულტურულ ძალების, საჭიროა შკოლა, შემოდგომის ხენა თესვას მიჰყვებს ხელი, ვინაიდან ეს რაიონი საზღვართან ახლოა, ჩუმად გააქვთ აზერბეიჯანში სხვა და სხვა სურსათ სანოვავე, რაც რაიონს თითონ აკლია. რევკომს სასურველად მიაჩნია საზღვარზე საბჭოს და სამილიციო პოსტის დაარსება. საჭიროა სამი შკოლის დაარსება ამ თავითვე, კანცელარიების მოწყობა და მკოდნე პირები რევკომებში. **ანაგას რაიონში** ბეგრის საშალეობით დაიხნა მიწები, დამზადდა ზამთრისთვის შეშა; მოსავალი კარგი იყო; ჰქონდა ადგილი უმნიშვნელო ქურდობას; დამშეულთა კომიტეტმა შეაგროვა რაიონში სხვა და სხვა სავანი, გზები ცუდია. ბაზრობიდან რევკომს შემოუვიდა 200000 მან. რაც შკოლებს მოხმარდა.

კარდანახის რაიონში ცუდი მოსავალი იყო. ვენახები დაისეტყვა. ქურდობა იყო განშირებული, მაგრამ თანდათან ისპობა მიღებული ზომების საშუალებით. შკოლები ძალიან ცუდ პირობებშია და არცაა საკმაოდ. გზებს არა უშავს. რკინის გზის შესაკეთებლად გავიდნენ მუშები. **ვარდისუბნის თემში** ხშირია ბეგარა, რადგან შარა გზაზე მდებარეობს. შკოლა კარგია, მაგრამ რემონტია საჭირო: არაა მიწები; გზა კარგია. კვირა-უქმე დღეებში იმართება ყრილობები, რომელზედაც ირჩევა სოფლის საჭირობორატო საკითხები. **უარსუბანში** მცხოვრებთ მიწა ცოტა ჰქონდათ, მაგრამ ცენტრმა მიუზომა 20 დესეტინა სახნავი და ასი საძოვარი. მოსავალი კარგია. დაარსდა პროგინაზია. ცუდათაა დაყენებული სამკურნალო დახმარება.

წითელ წყაროს რაიონში მდგომარეობა გართულებულია. წითელ ლაშქრის წასვლის შემდეგ თავი იჩინა ბანდარიზმმა. ყაჩაღების ბრბოს შეთაურობს ვინმე შჩუჩკინი. მათ მოუკლავთ პარტიული ამხანაგი, კომსომოლის მდივანი. ამ რაიონში ბევრია ლტოლვილი, რომელთა რიცხვში მრავალი დაშნაკელია და კონტრრევოლუციონურ აგიტაციას ეწვეიან. უთანხმოება ქართველ და რუს მოსახლეობას შორის მოისპო. გზები შეუკეთებელია, ამის მიზეზია მუშები ბეგარა ჯარების მოძრაობის გამო. სამკურნალო დახმარება არაა. მძინვარებს მალარია. ქედის რევკომის შემადგენლობა ვერაა სასურველი, არა აქვს სათანადო გამოცდილება.

ქვემო მაჩხანის რევკომი გადახალისებულ იქნა, ძველის უვარგისობას გამო. ყოფილ თავმჯდომარეს აღმოაჩნდა ბოროტმოქმედება. აქ იყო ხოლერის შემთხვევები, მაგრამ მალე მოისპო. გზები შეკეთდა. არის პროგინაზია, რომელსაც შეკე-

თება ექივრება. დამშეულთა კომიტეტი მუშაობს. ძლიერ შეწუხებულია ხალხი ყაჩაღებზე, რომლებიც იკარგება საქონელი.

შირზანში, კელმენურში და ვაქირში გზებს არა უშავს რა. მათი შეკეთება თვით ხალხმა ისურვა. დახმარება აღმოეჩინა წითელ არმიელებს, რომლებსაც სოფელმა 100 დესეტინა მოუთიბეს შაბათობის საშუალებით. ვაქირში შეკეთდა სასოფლო გზა, ამოაშრეს 150 დესეტინა ჰაობიანი ადგილი. კეთდება სასოფლო წყლები, გაკეთდა 9 მილიანი წყალსადენი, რაც სოფელს 40 მილიონი უჯდება. **ბოდ ეშიც** ახალი რევკომია. გაკეთდა ხილი. შკოლებს სჭირია რემონტი. საჭიროა მათი მეტი რიცხვი. საქონლის ქურდობა ხშირია.

ზემომაჩხანის თემში არაა წისკვლები, რაც ძალიან ავიწროებს ხალხს. მოსავალი ცუდი იყო. შკოლები არაა. წყლები და გზა შეკეთდა. **ბოდზის ხევის თემში** სრული სიწყნარე იყო.

მოსხენებათა მოსქენის შემდეგ გამართული კამათიდან გამოირკვა, რომ რევკომები ვერ იდგენ სათანადო სიმალეზე, გულკრილად ეკიდებოდნენ საქმეს, ბევრგან ხალხს თავი მოაძულეს თავისი უტაქტო საქციელით, ბევრგან უფიცი ხალხი მოხედრია ხელსუფლების ორგანოებში, ხშირად საექვო, კრიმინალური წარსულის მქონეც, ისინი ნაკლებათ აცნობდნენ ხალხს საბჭოთა აღმშენებლობის სისტემას და მუშურ გლეხური სახელმწიფოს მნიშვნელობას, რის წინააღმდეგ კრებამ მიიღო დადგენილება და მოითხოვა ენერგიული ზომების მიღება.

მაზრის რევკომის შინაგან საქმეთა სამართველოს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ იმ შერეულ კომისიას, რომელიც არჩეული იყო სიღნაღის მაზრის და აზერბეიჯანის მოსახლვრე სოფლებიდან, გამოურკვევია გადაცემული საქონლის რაოდენობა. აზერბეიჯანიდან გაუტაციათ 470 სული და სიღნაღიდან კი 1700 ცხვარი. კომისიას ჯერ მუშაობა არ დაუსრულებია და იმედი აქვს რევკომს რომ ყოველივე გაუგებრობა ამ დარგში მომავლისათვის მოისპობა. ადგილობრივ დათვალიერების დროს აღმოჩნდა რომ ბევრი თემის რევკომი არ მუშაობს წესიერად: მოწყობლობაზე პასუხს არ იძლევიან, მთხოვენელთ უღიერად ეკიდებიან და ხშირად სამართალს ვერ ნახულობს, არ ამოევენ არავითარ ინფორმაციას, და სხ. რაც მაზრის რევკომს დაუშვებლად მიაჩნია და მიღებულ იქნება სასტიკი ზომები, თუ კი ასეთი რამ კვლავ გამეორებულა.

საადგილმამულო განყოფილება აწარმოებს საანკეტო ფურცლებს, რისთვისაც საჭირო იყო მაზრაში 26 სპეცი, მაგრამ მხოლოდ 9 კაცი მიიღო ცენტრიდან. იმედი აქვს განყოფილებას, რომ საანკეტო ფურცლების შევსება მალე დასრულდება. განყოფილებას შეუძენია სეტყვის საწინააღმდეგო მორტირების წამალი 100 ფუთი, რამდენიმე ათასი ფიტილი. ბევრგან რევკომებმა სეტყვის წინააღმდეგ ზომების მიღებით გადაარჩინეს ვენახი, ბევრგან კი დროზე ვერ ისარგებლეს და გაფუქდა.

დაარსდა კომისია აგრარული საკითხების გასარჩევად. ბაღები, რომლებიც ჯარების შემოსვლის დროს განადგურდა, აღდგენილ იქნა. არის საფონდო ვენახები, მაგრამ გამგის უყოლობა უშლის ხელს. ადგილი ჰქონდა საქონლის ჰირსაც და ბეთალის საშუალებით იქნა საქირო ზომები მიღებული. ტყეები დატულია. გაჩეხას ადგილი არ ჰქონია. შემოსავალი ბაღებიდან უმნიშვნელოა, რადგან ჯარმა გააფუჭა იგი. სეპარატორი იძლევა დღეში ერთ გირვანქა კარაქს (7 მეწვეული ძროხა.) ყრილობა უკმაყოფილო დარჩა საადგილმამულო განყოფილების მოხსენებით და შესაფერი რეზოლიუციაც გამოიტანა.

სასურსათო კომიტეტის მოხსენებიდან გამოიკვია, რომ ორგანიზაციულად იგი ვერაა მოწყობილი და ვერ სდგას სასურველ სიმაღლეზე, რადგან ობიექტური პირობები უშლიდენ ხელს. სურსათის განაწილება ხდება სასურსათო კომისარიატის რწმუნებულისა და კოოპერატივთა კავშირის საშუალებით, მაგრამ ჯერჯერობით ეს განუხორციელებელია, რადგან ცენტრში საბოლოოდ არ გამოარკვეულა განაწილების საკითხი. რეგკომებმა თუ თავის დროზე წარადგინეს მუშა მოსამსახურეთა სიები, შეიძლება ოქტომბრიდან მოგვარდეს განაწილება. ნატურალური გადასახადის გატარება ცხოვრებაში ძლიერ გადავილებს საქმეს და მასთან, კომიტეტის აზრით, დაკავშირებულია სახელმწიფოს სიმტკიცე. ამას კი ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივმა კომიტეტებმა. ცენტრში გადაიგზავნა 30 ვაგონი სურსათი. ცენტრიდან მიღებულ იქნა ნავთი, შაქარი, პაპიროსი და ასანთი. თვითეული მოსამსახურე დღიურად იღებს 1¹/₂ გირვანქა პურს. პოლიტიუროს, მილიციის და ფოსტა ტელეგრაფისა კი 2 გირ. აღრიცხულია მთელი მაზრის წისკვილები და 15 % გადასახადისა დაედო მათ.

შრომის განყოფილება აწარმოებდა საკონფლიქტო საქმეებს. გაარჩია 13 საქმე. ქ. სიღნაღში წესიერად მიმდინარეობს მუშა ხელის აღრიცხვა, მხოლოდ მაზრაში ძნელდება. რეგკომები არ აღგენენ სიებს, მიუხედავად დიდი ხნის თხოვნისა.

განათლების განყოფილება დაარსდა დაგვიანებით. შტატი ძალიან ნაკლები იყო, რაც ასუსტებდა საქმიანობას. დაარსდა კოლეგია. მაზრაში ორი საშუალო სასწავლებელია. ამის გარდა ქ. სიღნაღში უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელია. მაზრაში კი არის ხუთი პროგიმნაზია. შენობები უფარვისა. უსახსრობის გამო, თვით ადგილობრივ რეგკომებს დაევალა მათი შეკეთება. ზოგმა შეაკეთა, ზოგმა კი არა. 14 ნოემბრიდან დაიწყებოდა სწავლა წერა კითხვის უცოდინართა 14—50 წლამდე, რისთვისაც განყოფილება აწარმოებდა რეგისტრაციას. დაარსდა სიღნაღში საბავშვო ბაღი. წითელ წყაროში არსებობს ბავშთა და ობოლთა თავშესაფარი, სადაც ჯერჯერობით 13 ობოლია. მუშაობს ქართული, რუსული და სომხური დრამატული სექცია. მოხდა რეგისტრაცია სამუსიკო ინსტრუმენტების. გადაწყდა სამოსწავლო

წლიდან სამუსიკო შკოლის გახსნა, დაარსებულია შევარდენი, (150 კაცია), განზრახულია მაზრაში ხალხო უნივერსიტეტის გახსნა, მაგრამ უკმაყოფილებით ვერ მოეწყო. გაიხსნა აგრეთვე რამდენიმე ახალი შკოლა.

ეკონომიურმა განყოფილებამ მეპატრონეთ ჩამოართვა 4 მაზორიანი წისკვილი, მაგრამ მთავრობის დადგენილებით ისევ დაუბრუნდათ მეპატრონეთ. აღრიცხულია მაზრაში ყველა წისკვილი, სახერხი; ქარხანა ელექტრონის საბურთი და სხ. კომუნალური მეურნეობის წვრილმანი სააქმეების გაძღოლა, ხელს უშლიდა განყოფილებას პირდაპირი მოვალეობის წესიერად შესრულებისათვის. ჯარის შემოსვლამ დიდი მუშაობა მოიტხოვა. უბინაობამ ძალიან შეავიწროვა მცხოვრებნი, რადგან დიდძალი ჯარი მიდიმოდიოდა. არ იყო ლოგინი, ასანთი, ლამაზა, საქირო იყო სურსათი, ცხენების საკვები, მათი ბინა და ეს ყველაფერი დაძლეულ იქნა. მოეწყო ფეხსაცმელის სახელოსნოები, რომელიც აკმაყოფილებდა მცხოვრებთა და ჯარსაც. შეკრებილ იქნა 5 700 ფუთი თრამლი, მოეწყო 20 წყლის წისკვილი საკუთარი ტენიკების საშუალებით, დაარსა ორი კომუნა: ერთი მოტორიანი წისკვილის, მეორე ფერმის არტელის. მაზრაში ადგილია სხვა და სხვა ქარხნის მოწყობა, ოღონდ საქიროს სახსარი.

შ. ს. ს. კომისარიატმა ამ მაზრას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. პირველად გასწმინდა თვით მაზრის რეგკომი და სრულიად გადაახალისა იგი ახალი თავმჯდომარის და წევრების დანიშვნით. უსასტიკეს ზომებს იღებდა კომისარიატი რაიონის და თემების რეგკომების უხეირო შეზადგენლობის ასაღამავად. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი რაიონი და თემი, რომელიც არ დაეაროს შ. ს. ს. კომისარიატის ინსტრუქტორს. მინდობილობათა მოხელეს, საგამომძიებლო კომისიას და სხ. საზედაშეღველო ორგანოებს. ბევრი რეგკომი იქნა გადაყინებული სრულიად, ბევრი პასუხის გებაში იქნა მიცემული, ბევრი სრულიად დათხოვნილი, და დატუსაღებული. იგივე ზომები იყო მიღებული მილიციის შესახებ. ყოფილ რეგკომს მაზრისას, ოფიციალურად, პრესაში გამოეცხადა საყვედური დაუდევრობისა და ხელქვეით ორგანოთადმი უყურადღებობის გამო. წითელი წყლის რეგკომი, რომელიც უკმაყოფილებას სთესდა ეროვნულ ნიადაგზე, ზოგი პასუხისგებაში მიეცა, ზოგიც დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. ფინანსიური ანგარიშების არა წესიერად წარმოების გამო, გამოიცა საგანგებო ცირკულიარი, რომელშიც აღნიშნული იყო წესი საფანსო ანგარიშების წარმოებისა. აკრძალა ზედმეტი ბეგარა და პასუხისმგებლობა დაეკისრა რეგკომებს. გააუქმა ბევრი უკანონო დადგენილება როგორც თემის, აგრეთვე მაზრის რეგკომისა და საჩივრებს მისცა კანონიერი მიმართულება. ასეთი მუშაობა მაზრაში, დღესაც გრძელდება.

შინაგან

გვ. XXI-ე №-ში მოთავსებულ მასალებსა:

- 1) დეკრეტი № 79 საქ. რევკომისა საზღვაო ტრანსპორტის მმართველობის საქ. რევ. კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებისა და საქართველოს და აფხაზეთის სოც. საბჭო რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტ გაერთიანების შესახებ. გვ. 1—2.
 - 2) დადგენილება № 95 საქ. რევკომისა დაწესებულებათა და წარმებათა შტატის შემამციკებელი კომისიის თაობაზე საქართ. სოც. საბჭო რევ. კომიტეტის მიერ ამა 1921 წ. ოქტომბრის 12 თარიღითა და 93 №-ით გაშვებული დადგენილების შეცვლისა და შეფხების შესახებ.
 - 3) « № 96 საქ. რევკომისა ფაქტის ამნათების გადასაგზავნი ნიხრის გადიდება შესახებ.
 - 4) « № 97 საქართ. რევკომისა დასამწვედევ ადგილებში შესვლის წესის შესახებ.
 - 5) « № 98 საქ. რევკომისა რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე უფიფილი სასაზინო საჭირო ადგილების ქალაქთა რევ. კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ.
 - 6) « № 99 საქ. რევკომისა საზღვაო ტრანსპორტისა და ნავთსადგურების მოქმედებით დაინტერესებულ ვწყებათა შორის ურთიერთ დამკვიდრებულების მოწესრიგების შესახებ.
 - 7) « № 100 საქ. რევკომისა კერძო შესაკუთრებების ნავ-ტურქელთა მუშაობის მოწესრიგების შესახებ. გვ. 2—4.
 - 8) დებულება საქ. რევკომისა სასამართლო აღმასრულებელთა შესახებ.
 - 9) დებულება რესპუბლიკის მილიციის აღმინისტრატორულ პოლიტიკურ შემადგენლობის შირთა აღრიცხვის წესის შესახებ.
 - 10) ცირკულირულად—გველა მარხის რევკომს.
 - 11) ნორმალური წესები ცირხლის მქრობელ პრფესიონალურ რაზმის მოწყობის შესახებ.
 - 12) » მონადისეთა ცეცხლ-მქრობელ რაზმებისა და გუნდების მოწყობის შესახებ. გვ. 5—8.
 - 13) ინსტრუქცია მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიის მოქმედების შესახებ.
 - 14) ცირკულიარი № 6 მადლ დირხების კულტურის მიწის ნაკვეთების დახაწილებისაგან დაცვის შესახებ.
 - 15) დადგენილება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულიარის № 2-ის გაუქმების შესახებ. გვ. 7—10.
 - 16) წესები № 15 მიმდებ ბუნქტუის წისქვილებზე გადასახადისა.
 - 17) ინსტრუქცია № 14 სამარხო, ქალაქის და სასსურსათო კომისარიატის რწმუნებულთათვის წისქვილებზე გადასახადის მოსაკრებად. გვ. 10—11.
- არაოფიციალური განყოფილება.**
- 18) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებოიდან გვ. 12—14.
 - 19) რაჭის მარხის მცხოვრებთა გადასახდების საკითხო. გვ. 14—16.
 - 20) ახალი კონომიური პოლიტიკის შესახებ მოხსენებოის თაზინები. გვ. 16—19.
 - 21) აგრარული საკითხი საბჭოთა საქართველოში, გვ. 19—24.
 - 22) ვეკლაფერი მეურნეობისათვის. გვ. 24—25.
 - 23) მარხის რევკომებში—სიღნაღის მარხა. გვ. 25—27.
 - 24) კითხვა-პასუხი გვ. 27—28.
 - 25) საქართველოს რესპუბლიკის მარხის, რაიონის და თემის რევკომები. გვ. 28—31.